

# ხობის მოამბე

№12 (7003) 20 ივლისი, შაბათი, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## 2013 წლის 27 ოქტომბერი–საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დღე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტს მეუფე გრიგოლს!



*ფოთისა და ხობის მიტროპოლიტს მეუფე გრიგოლს!*

*თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ!*

*გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ უფლისმიერ სიყვარულს, ჯანის სიმრთელეს და დღეგრძელობას.*

*მრავალჟამიერ თქვენი სიცოცხლე ერისა და მამულის საკეთილდღეოდ.*

## დაგეგმილი პროექტების განხორციელება დაიწყო





ხობის მუნიციპალიტეტში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამუშაოების განხორციელება დაიწყო, რომელიც ძირითადად ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარებას. კერძოდ, ასფალტ-ბეტონის საფარის კაპიტალურ შეკეთებას, ხეთისა და თორსა-ღლვაბის თემში წყალსადენი ქსელის რეაბილიტაციას, ქალაქის ცენტრის მოწყობას, საკანალიზაციო მილების გამოცვლას, სანიაღვრე არხების განახლებას, ტროტუარებზე ფილების დაგებას.

სამუშაოების ხარისხიან და დროულ შესრულებაზე სისტემატურ მონიტორინგს ახორციელებენ ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ამ მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ქარდავამ და გამგებელმა კახაბერ ბენიძემ ქალაქის ცენტრში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს.

## რეგიონში მოსულმა უხვმა ნალექმა წყლის დონის მომატება გამოიწვია





2-3 ივლისს რეგიონში მოსულმა უხვმა ნალექმა, ახალსოფლისა და ჭალადიდის თემის ტერიტორიაზე წყლის დონის მომატება გამოიწვია, რამაც ადგილობრივ მაცხოვრებელთა ეზოები და საყანე მიწები დატბორა. ჭალადიდში შეუფერხებლად მუშაობდა წყალსაქაჩი, მობილიზებული იყო საგანგებო სიტუაციების სამსახური.შექმნილ მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

სამაშველო სამსახური მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთელი ღამის განმავლობაში აკონტროლებდა სიტუაციას.

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია**

### ადამიანი დროში

### „ხობი ჩემი საფიქრალია“

>>>>>>>>>> 3

### საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
### №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია
### განკარგულება №01/2013

>>>>>>>>>> 4-6

### ახალი კალრები

### ჩემი მოვალეობაა თემს ვემსახურო

>>>>>>>>>> 7

### ახალი აღმოჩენა

>>>>>>>>>> 8

### „პოეზიისთვის შექმნილი შემოქმედი“ ანუ უსათაუროდ „უსათაუროებზე“

>>>>>>>>>> 9

### ხანდაზმულები

### შრომაში დამაშვრალი მარჯვენა

>>>>>>>>>> 10

### ერთად შევაჩეროთ წითელა...

>>>>>>>>>> 11

## ბიძინა ივანიშვილი ლიტველ კოლეგას ალგირდას ბუტკევიჩიუს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ლიტველ კოლეგას ალგირდას ბუტკევიჩიუს შეხვდა.

შეხვედრა ლიტვის მთავრობის სახლში გაიმართა. მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ბიძინა ივანიშვილმა ლიტვის პრემიერ-მინისტრს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, ასევე ტერიტორიული მთლიანობისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერისთვის მიმართული უდიდესი ძალისხმევისთვის მადლობა გადაუხადა.

მისივე განცხადებით, ლიტვის მხარდაჭერა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის გათვალისწინებით.

გაფართოებულ შეხვედრას საქართველოს დელეგაცია სრული შემადგენლობით დაესწრო.

## არჩილ კბილაშვილი აშშ-ში შეხვედრებს განაგრძობს



ვიზიტის მეორე დღეს კბილაშვილი ვაშინგტონის ფედერალური ოლქის მთავარ პროკურორს რონალდ მეიჩენ ჯუნიორს და ვაშინგტონის ფედერალური ოლქის პრობაციისა და წინასწარი დაკავების ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი მართლმსაჯულების სფეროში საქმიანობის გამოცდილების გაზიარებას შეეხო.

„მათ აღნიშნული სამსახურის მუშაობის სპეციფიკა გამაცნეს. ჩვენ განვაცხადეთ, რომ საქართველოში სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ლიბერალიზაციას ვიწყებთ, რაც იმასაც გულისხმობს, რომ არაძალადობრივ დანაშაულებზე ხალხის დაკავება-დაპატიმრება არ მოხდეს. სწორედ ამ კუთხით მნიშვნელოვანია შეიქმნას მსგავსი მექანიზმი, როდესაც ბრალდების წარდგენიდან სასამართლო განხილვამდე ხდება პირზე მეთვალყურეობის დაწესება სპეციალური სამსახურის მიერ“,–განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი მზად არის, ამ საკითხში გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოსთან აქტიურად ითანამშრომლოს.

მთავარი პროკურორი და უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი ორგანიზაცია Freedom House-ის პრეზიდენტს დევიდ კრამერს შეხვდნენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტით იმყოფება. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი და პარლამენტარები - თინა ხიდაშელი, თედო ჯაფარიძე, ირაკლი ჩიქოვანი და დავით ონოფრიშვილი.

## პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო ეროვნულ საკოორდინაციო ჯგუფთან შეხვედრას გამართავს

პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში ეროვნულ საკოორდინაციო ჯგუფთან შეხვედრას გამართავს.

შეხვედრა ეროვნულ სამოქმედო გეგმას „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ მიეძღვნება. მასზე წარმოდგენილი იქნება 2013 წლის იანვარ-ივნისის თვეებში სახელმწიფო უწყებების მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

შეხვედრას პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მანანა კობახიძე და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი საქართველოში ერიკა კვაპილოვა გახსნიან. ღონისძიებაში მონაწილეობას საქართველოს პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები მიიღებენ.

ცნობისთვის, 2012-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის (გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების მიხედვით) განხორციელების მიზნით, ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფი პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციასთან და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდროდ თანამშრომლობს. წელს პარლამენტის



გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ეროვნული საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრა უკვე მეორედ იმართება. მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

## „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე პოლიტიკური ნიშნით შერჩეული არ უნდა იყოს“



ენერგეტიკის მინისტრის კახი კალაძის განცხადებით, „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე პოლიტიკური ნიშნით შერჩეული არ უნდა იყოს“.

როგორც კალაძემ დღეს ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, „მნიშვნელოვანია, რომ მარეგულირებელი კომისია სრულიად დამოუკიდებელი იყოს“.

„ამ ორგანოს ძალიან მნიშვნელოანი ადგილი უკავია ენერგეტიკაში. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ კანდიდატურა პოლიტიკური ნიშნით შერჩეული არ იყოს. არსებობს პროცედურები და ჩვენ მაქსიმალურად დავიცავთ მათ. ჩვენ გვინდა, ძლიერი ორგანო ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ენერგეტიკას განვითარების შემდეგ ეტაპებზე მაქსიმალურად დაეხმარება“, - განაცხადა კალაძემ.

ცნობისთვის, სემეკის მოქმედ თავმჯდომარეს გურამ ჩალაგაშვილს თანამდებობობაზე ყოფნის ვადა აგვისტოში ეწურება.

## „საქართველო_სომხეთის ურთიერთობები მთავრობის პრიორიტეტია და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონალური უსაფრთხოებისათვის“



თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველო-სომხეთის ურთიერთობები მთავრობის პრიორიტეტია და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რეგიონალური უსაფრთხოებისთვის.

ამის შესახებ ალასანიამ სომხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრ სეირან ოჰანიანთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა.

„მე მინდა, სომხეთის თავდაცვის მინისტრს მადლობა გადავუხადო, რომ ის დათანხმდა ჩემს მოწვევას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ისტორიული, მეგობრული და ძმური ურთიერთობები, რომელიც ქართველ და სომეხ ხალხს აკავშირებს. შეხვედრაზე განვიხილეთ გეგმით განსაზღვრული ორმხრივი თანამშრომლობის სტადია და შევთანხმდით, რომ თანამშრომლობა ზუსტად განსაზღვრული გეგმით მიდის, რომელიც 2013 წელს დავსახეთ და ვისაუბრეთ ასევე იმ პრიორიტეტებზე, რაც ჩვენს ურთიერთობებში იქნება 2014 წლისთვის. მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ორმხრივი ურთიერთობები სომხეთსა და საქართველოს შორის არის პრიორიტეტული ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი მთავრობისთვის და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რეგიონალური უსაფრთხოებისთვის“, - განაცხადა ალასანიამ.

## „ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საპრეზიდენტო კანდიდატები თანაბარ წინასაარჩევნო პირობებში იყვნენ“

ენერგეტიკის მინისტრ კახი კალაძის განცხადებით, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საპრეზიდენტო კანდიდატები თანაბარ წინასაარჩევნო პირობებში იყვნენ.

ამის შესახებ კალაძემ ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

„მნიშვნელოვანია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდეს. ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე როგორი წინასაარჩევნო პერიოდი იყო ქვეყანაში, ყველას გვახსოვს, გვახსოვს, როგორ ეპყრობოდნენ „ქართული ოცნების“ აქტივისტებს და როგორი ძალადობა მიმდინარეობდა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე არსებულ პერიოდში ყველა კანდიდატის უფლებები იქნება დაცული. ჩვენ მთავარობა ამის გარანტიას იძლევა“,–განაცხადა კალაძემ.

## ადამიანი დროში



***ქართველმა საზოგადოებამ ოქტომბრის არჩევნებზე ახალ ხელისუფლებას ნდობის დიდი მანდატი მისცა. ამ ეტაპზე მიმდინარე პროცესები ძველი პოლიტიკური სისტემის რეფორმას უკავშირდება, ცვლილებები შედარებით უმტკივნეულოდ ხობის მუნიციპალიტეტშიც განხორციელდა. ამჟამად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა ბატონი მამუკა ქარდავა. მკითხველი მას ჩვენი გაზეთის გვერდებიდან სხვა რაკურსით პირველად გაიცნობს.***

# „ხობი ჩემი საფიქრალია“

**ხობი ჩემი საფიქრალია**

–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ნდობა გამომიცხადა და დღეს საკრებულოს თავმჯდომარე გახლავართ, თანამდებობა ჩემთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, თუმცა მწვერვალების დასაპყრობად



ყველა მიილტვის, ოღონდ ჩემთვის უმთავრესი მწვერვალების დაპყრობაზე მეტად, მისგან დაშვებისას საკუთარი ძალებით გაკეთებული საქმეებით მიღებული სიამოვნება და მადლიერი საზოგადოებაა.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, ახალი ხელისუფლება ახალი გამოწვევების წინაშე დგას. მე და ჩემი პოლიტიკური გუნდი ვცდილობთ გავამართლოთ ის ნდობა, რაც ხალხმა მოგვცა. მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით არაერთი პროექტი ხორციელდება, ვცდილობთ წინ წამოვწიოთ თემებსა და სოფლებში არსებული პრობლემები.

მინდა მოგაწოდოთ ერთი ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია ახალი ქარხნის მშენებლობა, რაც თავის მხრივ სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს. ამბობენ, თითქოს პოლიტიკა ბინძური საქმეა, ბისმარკს დავესესხები და ვიტყვი, რომ პოლიტიკა ხელოვნებაა, მართვის ხელოვნება და შესაძლებელია სუფთა ხელებითაც აკეთო პოლიტიკა, და რაც არ უნდა ხმამაღალ ნათქვამად მოგეჩვენოთ, ჩვენი გუნდი ამას ნამდვილად სუფთა ხელებით აკეთებს ჩემი საქმიანობის შესაჯამებლად, თუმცა 7 თვე არც ისე დიდი დროა მაგრამ მერწმუნეთ, უახლოეს პერიოდში თითოეული თქვენგანი ნახავს იმ შედეგებს, რაც დაგეგმილია.

**წარმატება–ადამიანებთან ურთიერთობაშია**

–ხალხთან ურთიერთობა, კომუნიკაბელურობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა წარმატებული კარიერის შესაქმნელად. ჩემთვის ადამიანებთან ურთიერთობაში, მთავარია მშვიდად მოვუსმინო და პატივი ვცე მათ აზრს, რადგან ურთიერთობებში ადამიანები უნდა მივიღოთ ისეთები, როგორებიც არიან, მიუხედავად იმისა, მათი მსოფლმხედველობა ემთხვევა თუ არა ჩემსას. ილიას სიტყვებს მოვიშველიებ და გეტყვით, „საცა ყველაში თითო არ არის და თითოში

**მწვერვალების დასაპყრობად ყველა მიილტვის, ოღონდ ჩემთვის უმთავრესი მწვერვალების დაპყრობაზე მეტად, მისგან დაშვებისას საკუთარი ძალებით გაკეთებული საქმეებით მიღებული სიამოვნება და მადლიერი საზოგადოებაა.**

ყველა, საცა თვითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, სადაც „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ იშვიათი არა საქმე არ გაკეთდება“.

**პატრიარქი... ჩვენი ქვეყნის უდიდესი ადამიანი**

–მართლმადიდებლურ ოჯახში გავიზარდე, მჯერა, ღვთის განგების გარეშე არაფერი ხდება, ტაძარში ჩემი ხალხისა და ოჯახისთვის ვლოცულობ... მაისში ჩვენს მუნიციპალიტეტს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სტუმრობდა, მასთან შეხვედრამ და რამდენიმე დღიანმა ურთიერთობამ ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. უწმინდესმა ფოთისა და ხობის ეპარქიაში მოილოცა ახლადაშენებული პირველი მაისის სამონასტრო კომპლექსი და ხობის ხარების დედათა მონასტერი. მასთან სიახლოვე ჩემთვის დამაბნეველიც იყო და დიდი სიხარულის მომცველიც. ვერც წარმო-

**ვერც წარმომედგინა თუ უფალი პატრიარქთან, მისსავე რეზიდენციაში სტუმრობის დაუვიწყარი დღეების მოზიარეს გამხდიდა.**

მედგინა თუ უფალი პატრიარქთან, მისსავე რეზიდენციაში სტუმრობის დაუვიწყარი დღეების მოზიარეს გამხდიდა. უწმინდესს პატივისცემის ნიშნად შვლის ნუკრები მივართვით, რაც მან დიდი სიხარულით მიიღო და თავისივე ბაღში თავადვე მიუჩინა ადგილი. შეხვედრისას ვუსმენდი მის ბრძნულ შეგონებებს და საოცარ, ზეალმატებულ ძალას ვგრძნობდი, თვით სიკეთე, სიყვარული და სათნოება გადმოიღვრება მისგან და თითქოს შენს სულსაც ავსებს ამ სიხარულით. პატრიარქმა გვაკურთხა და დალოცა მთელი მუნიციპალიტეტი. ეს დღეები მთელი ცხოვრება დიდ მადლად გამყვება.

**ქველმოქმედი... ლიდერი... შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან**

–2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბს ვხელმძღვანელობდი, კოალიციის ლიდერისგან ვიღებდით სხვადასხვა მითითებებს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, თუმცა მასთან პირისპირ შეხვედრა არასდროს მქონია. ბევრი რამ, როგორც მთელმა საქართველომ, ვიცოდით მის ქველმოქმედებაზე, ადამიანებთან უშუალო დამოკიდებულებაზე და სხვა ადამიანურ თვისებებზე, რის გამოც უდიდეს პატივს ვცემდი მას. ერთ დღესაც ბატონი



ბიძინა ჩვენს საარჩევნო შტაბს ეწვია, ჩვენი შეხვედრა უშუალო და ჩემთვის შთამბეჭდავი იყო. საუბარმა დიდხანს გასტანა, ბევრი სასიკეთო რჩევა მივიღე მისგან, დღემდე მომყვება მისი შეგონება: „შრომა „სუფთა“ ხელებით ისწავლეთ, გულში ბოღმა არ ჩაიდოთ, პატარა ადამიანებად არ იქცეთ, რადგან ბოღმა გულს მოგიკლავთ და გონებას დაგიბინდავთ“.

მჯერა, ბატონი ბიძინა შეძლებს თავისი გუნდით ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და ყველაზე უმთავრესი–უმუშევრობის დაძლევას, მინდა ამ საქმეში დიდი წარმატებები ვუსურვო პრემიერ-მინისტრს.

**მჯერა ბატონი ბიძინა შეძლებს თავისი გუნდით ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, სოციალური პრობლემების გადაწყვეტას და ყველაზე უმთავრესი,–უმუშევრობის დაძლევას.**

**არჩევნები... ვირჩევთ ქვეყნის პრეზიდენტს**

–ადამიანი, რომელიც გადაწყვეტს კენჭი იყაროს საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში, ამ გადაწყვეტილებით უკვე კისრულობს დიდ პასუხისმგებლობას. ამომრჩევლებმა, მათ შორის მეც, ხმა უნდა მივცეთ ქვეყნის აღმშენებლობას, განვითარებასა და განახლების ახალ ტალღას, რითაც შესაძლებელი იქნება ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა და ეკონომიკური აღმშენებლობა, დროა ჩვენი ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო თანამეგობრობაში. იმედი მაქვს, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები უპრეცედენტო იქნება და თითოეულ ამომრჩეველს უფლება ექნება დემოკრატიული, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით აირჩიოს ქვეყნის პირველი პირი.

**საკრებულოს თავმჯდომარის თავისუფალი დრო**

–ჩემი მიზანი მუნიციპალიტეტის მომავალი კეთილდღეობა და იმ ნდობის გამართლებაა, რაც მივიღე, ამისთვის კი დიდი შრომაა საჭირო, რაც თავისთავად დიდ დროს ითხოვს, ეს კი უფლებას არ მაძლევს ჩემი თავი გავანებივრო თავისუფალი დროით, გვიან ღამე, როცა ჩემს თავთან მარტო ვრჩები, წიგნის კითხვას ვახერხებ და ეს ჩემთვის დიდი განტვირთვაა.

**ხვალინდელი დღე**

–მჯერა, იმ რესურსების გამოყენებით, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიერ გაცხადებული მიზნები და ამოცანები, სრულად შესრულებადია. წინ დიდი შრომა და ბრძოლა გველის, თუმცა ქვეყნის უკეთესი მომავლის შესაქმნელად, გადარჩენისა და გაძლიერებისთვის ერთად უნდა დავდგეთ... იმის იმედით და რწმენით, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება. თქვენს გაზეთს და მის მკითხველს წარმატებებს ვუსურვებ.

**ლელა ალანია,**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წამყვანი სპეციალისტი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში.**

## საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
## №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია
# განკარგულება №01/2013

**საქართველოს 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის საარჩევნო უბნების შექმნის, მათი საზღვრებისა და ნომრების დადგენის შესახებ.**

*ქ. ხობი* *2013 წლის 28 ივნისი*

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №6/2012 დადგენილების საფუძველზე, №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №66 ხობის საარჩევნო ოლქში საქართველოს 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის შეიქმნას საარჩევნო უბნები, დადგინდეს მათი საზღვრები და ნომრები დანართების №1 და №2 შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*კომისიის თავმჯდომარე* მინდია ლომაია

*კომისიის მდივანი* სოფიო პერტია

დანართი 1

**№66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის 28.06.2013 წლის №01/2013 განკარგულებისა**

**№66 ხობის საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები და საზღვრები**

**№1 ქ. ხობის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ქ.ხობის ტერიტორია: მისამართის გარეშე, 9 აპრილის ქუჩა, ლ. ბერიას ქუჩა, ცოტნე დადიანის ქუჩა (ყოფ. წმ.გიორგის). №186, 189/4, 190, 192, 193, 195, 195ა, 196, 197,198,199,200,202,204, 206, 206/38, 208, 210, 210/18, 212, 214, 218, 220, 222, 224, 236, 238, 238/20, 238/29,240,240–1,240/3,240/9, 240/27, 240/32,240/50,242, 242/13, 242/23, 244, 244/9,246–15; დავით აღმაშენებლის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩის მე–3 შესახვევი, ვაჟა–ფშაველას ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩა, შ. რუსთაველის ქუჩა, სტალინის (ყოფ. წმ.ნინოს) ქუჩა№1,1/17, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9,10,11,12,14,15,16,17,18,19, 20(20კ), 21, 22, 23, 24, 25, 26, 2,7 29, 31, 33, 35, 81, სულხან– საბას (ყოფ. გაგარინის) ქუჩა, ფოთის ქუჩა, ა. წერეთლის ქუჩა.

**№2 ქ. ხობის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ქ.ხობის ტერიტორია: გოგებაშვილის (ყოფ. ენგელსის )ქუჩა, გორგასლის (ყოფ. მელიორატორების) ქუჩა, დ. გურამიშვილის ქუჩა, ი. ვეკუას ქუჩა, თაყაიშვილის ქუჩა, მ. იოსავას (ყოფ. ნუცუბიძის) ქუჩა, დ. მეგრელის ქუჩა, მეუნარგიას ქუჩა, თამარ მეფის სანაპირო (ყოფ. თამარ მეფის, (ყოფ. სანაპიროს ქუჩა), ა. მირცხულავას (ყოფ. ჩიქობავას) ქუჩა, მშვიდობის (ყოფ. მუსხელიშვილის) ქუჩა, სამეგრელო ქუჩა, ა. ყაზბეგის ქუჩა, ჯავახიშვილის ქუჩა, სასტ. ,,კოლხეთ“–ში, ინვალიდთა ლიგის შენობაში, მეთესლეობის კანტორაში, რესტორან ,,ღიმილში“, სახანძროში, სკოლა–ინტერნატში, შპს ,,ზომეს“ შენობაში, შპს ,,საფ. კლუბი კოლხეთის“ შენობაში, ბ/ბაღი №3–ში განთავსებული დევნილები.

**№3 ქ. ხობის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ქ. ხობის ტერიტორია: აიეტის დასახლება (ყოფ. აიეტის ქუჩა), ბარათაშვილის ქუჩა,

ტ. გრანელის ქუჩა, ც. დადიანის (ყოფ. წმ. გიორგის) ქუჩა №205, 207, 209, 211, 213,223,227,228,229,231,232, 234, 237,239,241,243,246,248,254,258,261,283, 286, 338,402,ერეკლეს მეორეს ქუჩა, 26 მაისის ქუჩა, გუბაზ მეფის ქუჩა, თ. სალაყაიას(ყოფ. ჭყონდიდელის ) ქუჩა №6,8, თ. სახოკიას ქუჩა , ზ. ფალიაშვილის ქუჩა (ყოფ. გეგეჭკორის ქუჩა), თ. ქაჯაიას ქუჩა, ა. შანიძის ქუჩა, ი. ჭავჭავაძის ქუჩა, გ. ჭალადიდელის ქუჩა, გ. ჭყონდიდელის ქუჩა, შპს „შარა–გზამშენი №1–ში სახოკიას ქ. №1 ; ავტო–სატრანსპორტო საწარმო №8–ში სახოკიას №3; გაზკანტორის შენობაში, ინფექციურ საავადმყოფოში; კმკ–ს შენობაში სახოკიას №3; კოოპ. „გარანტის“ შენობაში ჭყონდიდელის ქ.№9; მმკ 10–ის შენობაში ცოტნე დადიანის ქ №232; მმს შენობაში, მოძრავ მექანიზებული კოლონას შენობაში, პმკ №19 –ს შენობაში, საკონსერვო ქარხანაში, სამშენებლო სამმართველოს შენობაში, უსინათლოთა სახლში, წყალთა მეურნეობის შენობაში განთავსებული დევნილები.

**№4 ახ. ხიბულის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები: ახალი ხიბულის თემი.**

**№5 ახალსოფლის საარჩევნო უბანი**

საზღვრები: ახალსოფლის თემი: ქუჩა №1–ლი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №6-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №7, ქუჩა №8, ქუჩა №9, ქუჩა №10, ქუჩა №11, ქუჩა №12, ქუჩა №13, ქუჩა №14, ქუჩა №15, ქუჩა №16, ქუჩა №17, ქუჩა №18.

**№6 ბიის საარჩევნო უბანი**

**საზღვრებძი**: ბიის თემი

**№7 პირველი მაისის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: პირველი მაისის თემი: ქუჩა №12, ქუჩა №12–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №12–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №12–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №13, ქუჩა №13–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №13–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №13–ის მე–4 ჩიხი, ქუჩა №14, ქუჩა №14–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №15, ქუჩა №15–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №17, ქუჩა №18, ქუჩა №18–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №18–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №18–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №19, ქუჩა №19–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №20–ის №1, 3, 7, 8, 10, 13,14,15,17,20,22,23,25,26,28,30, 31, 33, 36, 37,38,39,40,43,44, 45,46, 47,48,49,51, ქუჩა №20–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №20–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №20–ის მე–4 ჩიხი, ქუჩა №21, ქუჩა №22, ქუჩა №23, ქუჩა №25, ქუჩა №25–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №25–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №26, ქუჩა №26–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №26–ის მე–2 ჩიხი.

**№8 გურიფულის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: სოფ. 1–ლი გურიფული: რ. ბახიას ქუჩა, რ. ბახიას ქუჩის 1–ლი შესახვევი, რ. ბახიას ქუჩის 1–ლი ჩიხი, წმ. ნინოს ქუჩა, წმ. კვირიკესა და ივლიტას ქუჩა, წმ. კვირიკესა და ივლიტას ქუჩის 1–ლი ჩიხი. სოფ. მე–2 გურიფული: თბილისის ქუჩა, თბილისის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩა, 26 მაისის ქუჩა.

**№9 ზემო ქვალონის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ზემო ქვალონის თემი: ქუჩა №1–ლი, ქუჩა №1–ლის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №6–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №6–ის მე-2 ჩიხი, ქუჩა №7, ქუჩა №8, ქუჩა №8–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №8–ის მე-2 ჩიხი, ქუჩა №9, ქუჩა №9-ის 1-ლი შესახვევი, ქუჩა №9-ის მე-2 შესახვევი, ქუჩა №10, ქუჩა №10-ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №11, ქუჩა №12, ქუჩა №13,

**№10 თორსა–დღვაბის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: თორსა–დღვაბის თემი.

**№11 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ნოჯიხევის თემი: ჯაჯუ ჯორჯიკიას ქუჩა, რუსთაველის ქუჩა, რუსთაველის ქუჩის 1–ლი ჩიხი, რუსთაველის ქუჩის მე–2 ჩიხი, რუსთაველის ქუჩის მე–3 ჩიხი, გეგეჭკორის ქუჩა, გეგეჭკორის ქუჩის 1–ლი ჩიხი, სტალინის ქუჩა, სტალინის ქუჩის 1–ლი ჩიხი, სტალინის ქუჩის მე–2 ჩიხი, ჭავჭავაძის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ყაზბეგის ქუჩა, ლესელიძის ქუჩა.

**№12 პატარა ფოთის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: სოფ. პატარა ფოთი: წმ. ბარბარეს ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩა, ვანის ქუჩა, სამეგრელოს ქუჩა, ფოთის ქუჩა, ფოთის ქუჩის 1–ლი ჩიხი, ფოთის ქუჩის მე–2 ჩიხი, კოკაიას ქუჩა, ნიკო ნიკოლაძის ქუჩა, ბაგა–ბაღში, ამბულატორიის შენობაში, ჯიშთა გამოცდის შენობაში განთავსებული დევნილები.

**№13 პირველი ხორგის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: სოფ. პირველი ხორგა: თავისუფლების ქუჩა, იოანე ნათლისმცემლის ქუჩა, ა. მირცხულავას ქუჩა, ა. მირცხულავას ქუჩის 1–ლი შესახვევი, მირცხულავას მე–2 შესახვევი, ზ. ყუფუნიას ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩა, წმ. ნინოს ქუჩა, დ. აღმაშენებლის ქუჩა, ბაგა–ბაღის შენობაში, მეურნეობის კანტორაში განთავსებული დევნილები.

**№14 საგვიჩიოს საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: სოფ. საგვიჩიო: კობა შუბითიძის ქუჩა, ცოტნე დადიანის ქუჩა, განთიადის ქუჩა, კოლხეთის ქუჩა, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩის 1-ლი შესახვევი, რაჰიპ მამედოვის ქუჩა, წმინდა ნინოს ქუჩა, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა

**№15 საჯიჯაოს საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: საჯიჯაოს თემი: ქუჩა №1–ლი, ქუჩა №1–ლის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №1–ლის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №1–ლის მე–2 ჩიხი, ქუჩა №1–ლის მე–3 ჩიხი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №3–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №7, ქუჩა №8, ქუჩა №8–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №9, ქუჩა №10, ქუჩა №11, ქუჩა №12, ქუჩა №12–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №13, ქუჩა №13–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №14, ქუჩა №14–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №14–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №14–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №15–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №16, ქუჩა №17–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №19, ქუჩა №28–ის 1, 3, 5, 7, ქუჩა №28–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №28–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №28–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №29, ქუჩა №31, ქუჩა №34, ქუჩა №34–ის 1–ლი შესახვევი, საკრებულოს შენობაში, ჩაის ფაბრიკის ბინებში განთავსებული დევნილები.

**№16 საჯიჯაოს საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: საჯიჯაოს თემი: ქუჩა №22, ქუჩა №27, ქუჩა №28–ის 2, 4, 6, 8, 9,10,11,12,13,14,15,17,18,19,21, 22, 23, 25,27,29,31,33, 35, 37,39,43, 45, 47, 53, 55, 57, ქუჩა №30, ქუჩა №30–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №32, ქუჩა №33, ქუჩა №33–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №33–ის მე–2 შესახვევი, ქუჩა №35, ქუჩა №35–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №36.

**№17 ბაღმა საჯიჯაოს საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: საჯიჯაოს თემი: ქუჩა №37, ქუჩა №38, ქუჩა №38–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №39, ქუჩა №41, ქუჩა №41–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №41–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №42, ქუჩა №42–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №43, ქუჩა №44, ქუჩა №45, ქუჩა №46.

**№18 ქარიატის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ქარიატის თემი.

**№19 ქვემო ქვალონის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ქვემო ქვალონის თემი:მშვიდობის ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩა, თბილისის ქუჩა, გამარჯვების ქუჩა, წერეთლის ქუჩა, მოსკოვის ქუჩა, ფოთის ქუჩა, ახალაიას ქუჩა, სტალინის ქუჩა, გამსახურდიას ქუჩა, რუსთაველის ქუჩა №1-59 და 2-34, რუსთაველის ქუჩის 1-ლი ჩიხი, მეგობრობის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა 1-45 და 2-30, ვეკუას ქუჩა, სააკაძის ქუჩა, კოლხიდმშენის ქუჩა, ბ/ბაღში, კოლხიდმშენის შენობაში, მოძრავ-მექანიზებული კოლონის შენობაში განთავსებული დევნილები.

**№20 შუა ქვალონის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ქვემო ქვალონის თემი:რუსთაველის ქუჩა №61-139 და 36-122, რუსთაველის ქუჩის მე-2 ჩიხი, რუსთაველის ქუჩის მე-3 ჩიხი, გურამიშვილის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩის 1-ლი ჩიხი, გურამიშვილის ქუჩის მე-2 ჩიხი, გურამიშვილის ქუჩის მე-3 ჩიხი, გურამიშვილის ქუჩის მე-4 ჩიხი, დადიანის ქუჩა, მირცხულავას ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა 47-63 და 32-64, ჭავჭავაძის ქუჩა.

**№21 ჭალადიდის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ჭალადიდის თემი:სტალინის ქუჩა, სტალინის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ქორქიას ქუჩა, ბარათაშვილის ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა №117-165; კოკაიას ქუჩა №155-291 და 2-8; კოკაიას ქუჩის მე-5 ჩიხი, კოკაიას ქუჩის მე-6 ჩიხი, კოკაიას ქუჩის მე-7 ჩიხი, კოკაიას ქუჩის მე-8 ჩიხი, რუსთაველის ქუჩა, რუსთაველის ქუჩის 1-ლი ჩიხი, რიონის ქუჩა, მეურნეობის შენობაში, ბ/ბაღში, ნავთძიების შენობაში, წყლის მეურნეობის შენობაში განთავ-

>>>>>>>> 6

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

11 ივლისს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ ბენიძე, საკრებულოს, გამგეობისა და ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის წარმომადგენლები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების დამტკიცების შემდეგ პირველ საკითხად განხილულიქნა საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ განკარგულების პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში შენობა-ნაგებობების იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთას. ამ მიზნით, ქ. ხობის ტერიტორიაზე შექმნილ სპეციალურ სტენდებზე განთავსდება წინასაარჩევნო სარეკლამო პლაკატები. ამასთან, განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, სადაც საარჩევნო სუბიექტებისათვის შესაძლებელი იქნება ამომრჩევლებთან შეხვედრების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გამართვა.

განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ხობის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ“ საკრებულოზე ცნობის სახით იქნა მიღებული.

ასევე მოსმენილიქნა ხობის მუნიციპალიტეტის ჯანდაცის ცენტრის დირექტორის შორენა საბახტარაშვილის ანგარიში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წითელას პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ, მისი განმარტებით „სულ დაფიქსირდა 17 შემთხვევა, აიცრა 45 კონტაქტირებული, 40 სამედიცინო პერსონალი და 77 არასრულად აცრილი 7 წლამდე ბავშვი. სამედიცინო პუნქტები უზრუნველყოფილია ვაქცინით, ხოლო წითელას შემთხვევები საგრძნობლად შემცირდა“.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოთხოვნით, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ბადრი ჯობავას მიერ საკრებულოზე წარმოდგენილიქნა ინფორმაცია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

ამ საკითხების განხილვის შემდეგ, საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ხობის მინციპალიტეტის საკრებულოს აპარატი**

# თათბირი საკრებულოში

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ქარდავამ საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს ბიუროსა და აპარატის თანამშრომლებთან ოპერატიული თათბირი ჩაატარა.

თათბირი ძირითადად შეეხო 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებას. აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით გამგეობის შესაბამისი სამსახურების, ბიუროს წევრებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელ პირებთან ერთად დაიგეგმოს შეხვედრები და ერთობლივად იქნეს განხილული გამგეობის მიერ მომზადებული 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რაც ბიუროს წევრების მხრიდან მოწონებულიქნა.

საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, საკრებულოს 2013 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად მეორე კვარტალში დაგეგმილია ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიშის განხილვა, რაზედაც საკრებულოს აპარატს დაევალა მომზადდეს წერილი გამგეობიდან ანგარიშის დროულად წარმოდგენის შესახებ.



თათბირის დასასრულს, საკრებულოს თავმჯდომარემ კოლეგებს და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს მეტი აქტიურობისა და და საქმიანი ინიციატივებისაკენ მოუწოდა.

**ხობის მინციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია**

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება№44

**2013 წლის 11 ივლისი** **ქ. ხობი**

## ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების და 46-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. ხობში:

ა.ა) ხობის კულტურის სახლი;

ა.ბ) ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკა;

ბ) ახალი ხიბულის თემში - ახალი ხიბულის კლუბის შენობა;

გ) ბიის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

დ) ზემო ქვალონის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ე) თორსა-ღლვაბის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ვ) პირველი მაისის თემში - პირველი მაისის კლუბის შენობა;

ზ) საჯიჯაოს თემში - საჯიჯაოს კულტურის სახლი;

თ) ქარიატის თემში - ქარიატის კლუბის შენობა;

ი) ქვემო ქვალონის თემში - ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;

კ) შუა ხორგის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ლ) ჭალადიდის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

მ) ხეთის თემში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ნ) სოფელ პატარა ფოთში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ო) სოფელ პირველ ხორგაში - პირველი ხორგის კლუბის შენობა;

პ) სოფელ საგვიჩიოში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა;

ჟ) სოფელ ყულევში - ყულევის კლუბის შენობა;

რ) სოფელ ძველ ხიბულაში - ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობა.

2. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის (პლაკატები, ლოზუნგები და სხვა) შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთის მიზნით, ქ. ხობის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები განთავსდეს სპეციალურად მოწყობილ სტენდებზე:

ა) N66.01 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე კოსტავას ქუჩის გადაკვეთასთან;

ბ) N66.02 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე რესტორან „ღიმილთან“ და ცოტნე დადიანის ქუჩაზე გოგებაშვილის ქუჩის გადაკვეთასთან;

გ) N66.03 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ჭყონდიდელის ქუჩის დასაწყისში, 9 აპრილის ხეივანთან და ჭყონდიდელისა და 26 მაისის ქუჩების გადაკვეთაზე;

დ) N66.28 საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე - ცოტნე დადიანის ქუჩაზე კოლხეთის დასახლების შესახვევთან და სტალინის ქუჩაზე რუსთაველის ქუჩის გადაკვეთასთან.

3. მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

4. აიკრძალოს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის მორიგ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

5. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (კ. ბენიძე):

ა) საარჩევნო პლაკატების გამოსაფენად განთავსებული სტენდების მოწესრიგება,

ბ) ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება წინასაარჩევნო აგიტაციის, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების (მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო, საგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებები) გავრცელებაზე, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე, სხვა წინასაარჩევნო საქმიანობებთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე და უზრუნველყოს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე საჭირო სანქციების გამოყენება.

6.ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონულ სამმართველოს (დ. დარასელია) წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ამ განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

7. დაევალოს საკრებულოს აპარატს (ლ. შამათავა) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

8. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

**საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა.**

4

სებული დევნილები.

**№22 ყულევის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: სოფ. ყულევი: იმედის ქუჩა, იმედის ქუჩის 1-ლი ჩიხი, გამარჯვების ქუჩა, მშვიდობის ქუჩა, მშვიდობის ქუჩის 1-ლი ჩიხი, მშვიდობის ქუჩის მე-2 ჩიხი.

**№23 შუა ხორგის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: შუა ხორგის თემი: ზვიად დათუაშვილის ქუჩა, ზვიად დათუაშვილის ქუჩის 1-ლი შესახვევი, ზვიად დათუაშვილის ქუჩის მე-2 შესახვევი, ზვიად დათუაშვილის ქუჩის 1-ლი ჩიხი, შოთა რუსთაველის ქუჩა, წმინდა გიორგის ქუჩა, წმინდა გიორგის ქუჩის 1-ლი ჩიხი, წმინდა გიორგის ქუჩის მე-2 ჩიხი, წმინდა გიორგის ქუჩის მე-3 ჩიხი, აკაკი წერეთლის ქუჩა, ნოდარ დუმბაძის ქუჩა, ცოტნე დადიანის ქუჩა, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა, წმინდა ნინოს ქუჩა, მერაბ კოსტავას ქუჩა, თავისუფლების ქუჩა, თამარ მეფის ქუჩა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩა, ილია ჭავჭავაძის ქუჩა, ბაგა-ბაღში განთავსებული დევნილები.

**№24 ძველი ხიბულის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: სოფ. ძველი ხიბულა.

**№25 ხამისქურის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ხამისქურის თემი.

№26 **ხეთის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ხეთის თემი: ქუჩა №1–ის №101, 103, 105, 109, 113, 117, 119, 120, 122, 123,124,127,128, 129, 130, 131, 132,133, 134, 135, 136, 137, 139, 140, 141, 142, 145, 146, 148,150,151,152,153, 154,155,156, 157, 158, 160,162,1 63,1 64, 165, 167, 169, 171, 173, 175, 177, 179,181,183,184,185,186,187,188, ქუჩა№1–ლის მე–3 შესახვევი, ქუჩა №1–ლის მე–4 შესახვევი, ქუჩა №1–ლის მე–3 ჩიხი, ქუჩა №1–ლის მე–4 ჩიხი, ქუჩა №8, ქუჩა №8–ის 1–ლი ჩიხი,ქუჩა №9,ქუჩა №10, ქუჩა№11–ის №5, 11, 12, 13, 14, 17, 18, 20, 22,24,26,28,30,32,ქუჩა №11–ის მე–2 ჩიხი,ქუჩა №12, ქუჩა №13, ქუჩა №13–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №14, ქუჩა №15, ქუჩა №16, ქუჩა №16–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №17, ქუჩა №17–ის 1–ლი ჩიხი,ქუჩა №17–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №18,ქუჩა №18–ის 1–ლი ჩიხი,ქუჩა №18–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №19, ქუჩა №19–ის 1–ლი შესახვევი,ქუჩა №19–ის 1–ლი ჩიხი,ქუჩა №19–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №20, ქუჩა №20–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №21, ქუჩა №21–ის 1–ლი ჩიხი,ქუჩა №22, ქუჩა №23, ქუჩა №23–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №24, ქუჩა №25, ქუჩა №25–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №25–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №25–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა №26, ქუჩა №27, ქუჩა №27–ის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №27–ის მე–2, შესახვევი, ქუჩა №27–ის 1–ლი ჩიხი,ქუჩა №28, ქუჩა №29,ქუჩა №30,ქუჩა №31,ქუჩა №32, ქუჩა №33,ქუჩა №34, ქუჩა №35, მუზეუმის შენობაში განთავსებული დევნილები.

**№27 ხეთის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ხეთის თემი:ქუჩა №1–ის №1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 10, 11, 12, 13, 14, 15,19,20,21,22,24,25,26,28,29, 30, 31,32, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40,42, 43, 44, 45, 46, 48, 49, 51, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59,61,62,65,66,67,68,69,70,71, 72, 73, 74, 75, 76,77, 78,79, 80, 81, 82, 84, 85, 8 6 , 88,90,91,92,94,96,98,100,102,104,108,112,114,ქუჩა №1–ლის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №1–ლის მე–2 შესახევევი, ქუჩა №1–ლის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №1–ლის მე–2 ჩიხი, ქუჩა №2, ქუჩა №2–ის 1–ლი ჩიხი,ქუჩა №2–ის მე–2 ჩიხი,ქუჩა №2–ის მე–3 ჩიხი, ქუჩა№2–ის მე–4 ჩიხი, ქუჩა №3, ქუჩა №5,ქუჩა №6,ქუჩა №7, ქუჩა №11, ქუჩა №11–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №11–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა№25, შპს ,,ხეთის მეურნეობის“ დასახლება, ტექნიკუმის შენობაში, შპს ,,ხეთის დაფნა და ციტრუსი“-ს შენობაში განთავსებული დევნილები.

**№28 ქ. ხობის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ქ. ხობის ტერიტორია: კ. გამსახურდიას ქუჩა 1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9,10,11,12,13,14,15,16,17, 19,20,21,22,23,24, 25,26,27, 28,29, 30, 31, 32, 34, 35, 36, 37,38,39,41,42,44,46,48,50(50ა),56,59,62,213, ც. დადიანის (ყოფ. წმ. გიორგის) ქუჩა 1, 2, 3, 3/1, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14,15,16,17,18,19,20,21,22,23, 24, 25,2 6,27,28,29,30,31,32,33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49,51,52,53,54,55,56,57,58, 59, 60, 61,62, 63, 64, 65,66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 77, 78, 80, 81, 82, 83, 84, 85, 87,89,90,91,92,93,94,95,96,97,98,99,100,101,102,103,104,105,106,107,108,109,110,111, 112, 113,114,116,117,118,119,120,121,122,123,124,125, 126, 127,1 28, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136,137,138,139,140,141,142,143,144,145, 145ა, 147,148,149,151, 152, 153,154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 164, 165, 166, 167,169,170,171,172,173,174, 176,177,178,179,180,183, 216,221, კოლხეთის დასახლება (ყოფ. კოლხეთის მეურნეობა), ი. მეუნარგიას ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, სტალინის (ყოფ. წმ. ნინოს) ქუჩა 28, 34, 36, 37, 38, 39, 40, 42, 43, 44, 45, 46, 47,48,49,51,52,54,55,56,57,58,59,61, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72, 74, 75, 76, 77,78,79,87,89,91,95, ფიროსმანის ქუჩა, ფოთის ქუჩის მე-2 შესახვევი.

**№29 პირველი მაისის საარჩევნო უბანი**

საზღვრები: პირველი მაისის თემი: ქუჩა №1–ლი, ქუჩა №1–ლის 1–ლი შესახვევი, ქუჩა №1–ლის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №1–ლის მე–2 ჩიხი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №3–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №3–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №6–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №10, ქუჩა №11, ქუჩა №20–ის №2, ქუჩა №20–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა 24, ქუჩა №24–ის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №24–ის მე–2 ჩიხი, ქუჩა №24–ის მე–3 ჩიხი, ოქროს საწმისი.

**№30 ნოჯიხევის საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: ნოჯიხევის თემი: ცხაკაიას ქუჩა, წერეთლის ქუჩა, წერეთლის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ტაბიძის ქუჩა, ტაბიძის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ბარათაშვილის ქუჩა, ც. დადიანის ქუჩა, ც. დადიანის ქუჩის 1-ლი ჩიხი, ც. დადიანის ქუჩის მე-2 ჩიხი, წმ. გიორგის ქუჩა, წმ. გიორგის ქუჩის 1-ლი ჩიხი, წმ. გიორგის ქუჩის მე-2 ჩიხი,პმკ 12-ის შენობაში, პროფტექნიკუმში, ჩაის ფაბრიკის ბ/ბაღის შენობაში განთავსებული დევნილები.

**№31 შავღელეს საარჩევნო უბანი**

**საზღვრები**: სოფ. შავღელე: ქუჩა №1–ლი, ქუჩა №1–ლის 1–ლი ჩიხი, ქუჩა №2, ქუჩა №3, ქუჩა №4, ქუჩა №5, ქუჩა №6, ქუჩა №7, ქუჩა №8, ქუჩა №9, ქუჩა №9-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №10, ქუჩა №11, ქუჩა №12, ქუჩა №13, ქუჩა №13-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №14, ქუჩა №15, ქუჩა №16, ქუჩა №17, ქუჩა №18, ქუჩა №19, ქუჩა №20, ქუჩა №20-ის 1-ლი შესახვევი, ქუჩა №21, ქუჩა №22, ქუჩა №23, ქუჩა №23-ის 1-ლი ჩიხი, ქუჩა №23-ის მე-2 ჩიხი, ქუჩა №24.

**№32 ჭალადიდის საარჩევნო უბანი**

საზღვრები: ჭალადიდის თემი: კოკაიას ქუჩა 1-153, კოკაიას ქუჩის 1-ლი ჩიხი, კოკაიას ქუჩის მე-2 ჩიხი, კოკაიას ქუჩის მე-3 ჩიხი, კოკაიას ქუჩის მე-4 ჩიხი, ვაგზლის ქუჩა, ლენინის ქუჩა, ლენინის ქუჩის 1-ლი ჩიხი,ლენინის ქუჩის მე-2 ჩიხი, ლენინის ქუჩის მე-3 ჩიხი, გაგარინის ქუჩა, დადიანის ქუჩა, საბჭოს ქუჩა, გურამიშვილის ქუჩა №1-115 და 2-24.

**კომისიის თავმჯდომარე**

**მინდია ლომაია**

**კომისიის მდივანი**

**სოფიო პერტია**

**დანართი №2**

## №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის 28.06.2013 წ. №01 /2013 განკარგულებისა

| ოლქის № | ოლქი | უბნის № | უბნის დასახელება | უბნის განთავსების ადგილი | მისამართი |
|---|---|---|---|---|---|
| 66 | ხობი | 1 | ქ. ხობის | კინოთეატრ „თუთარჩელა"-ს შენობა | ქ. ხობი,ცოტნე დადიანის №191 |
| 66 | ხობი | 2 | ქ. ხობის | ხობის №2 საჯარო სკოლა | ქ. ხობი,ცოტნე დადიანის №183 |
| 66 | ხობი | 3 | ქ. ხობის | შპს ,,ხოდაკო“-ს ხობის ფილიალის შენობა | ქ. ხობი,ცოტნე დადიანის №234 |
| 66 | ხობი | 4 | ახალი ხიბულის | ახ.ხიბულის სასოფლო კლუბის შენობა | სოფ. ახ. ხიბულა |
| 66 | ხობი | 5 | ახალსოფლის | ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ახ.სოფელი |
| 66 | ხობი | 6 | ბიის | ბიის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ბია |
| 66 | ხობი | 7 | პირველი მაისის | კოოპერაციული მეურნეობის შენობა | სოფ. პირველი მაისი |
| 66 | ხობი | 8 | გურიფულის | ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობა | ქ. ხობი, სტალინის 12 |
| 66 | ხობი | 9 | ზ/ქვალონის | ზემო ქვალონის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ზ. ქვალონი |
| 66 | ხობი | 10 | თორსა--დღვაბის | თორსა-დღვაბის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. თორსა–დღვაბა |
| 66 | ხობი | 11 | ნოჯიხევის | შპს "ნოჯიხევის" ადმ. შენობა | სოფ. ნოჯიხევი |
| 66 | ხობი | 12 | პატარა ფოთის | სოფ. პ/ფოთის ადმინისტრაციის შენობა | სოფ. პატარა ფოთი |
| 66 | ხობი | 13 | პირველი ხორგის | პირველი ხორგის სასოფლო კლუბის შენობა | სოფ. პირველი ხორგა, ა. მირცხულავას 162 |
| 66 | ხობი | 14 | საგვიჩიოს | საგვიჩიოს საჯარო სკოლის შენობა | სოფ. საგვიჩიო |
| 66 | ხობი | 15 | საჯიჯაოს | საჯიჯაოს კულტურის სახლი | სოფ. საჯიჯაო |
| 66 | ხობი | 16 | საჯიჯაოს | საჯიჯაოს №1 საჯარო სკოლის შენობა | სოფ. საჯიჯაო |
| 66 | ხობი | 17 | გაღმა საჯიჯაოს | გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღის შენობა | სოფ. გაღმა საჯიჯაო |
| 66 | ხობი | 18 | ქარიატის | ქარიატის სასოფლო კლუბის შენობა | სოფ. ქარიატა |
| 66 | ხობი | 19 | ქვემო ქვალონის | ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ქვემო ქვალონი |
| 66 | ხობი | 20 | შუა ქვალონის | ქვემო ქვალონის №2 საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ქვემო ქვალონი |
| 66 | ხობი | 21 | ჭალადიდის | ჭალადიდის ბიბლიოთეკის შენობა | სოფ. ჭალადიდი |
| 66 | ხობი | 22 | ყულევის | ყულევის სასოფლო კლუბის შენობა | სოფ. ყულევი, იმედის №180 |
| 66 | ხობი | 23 | შუა ხორგის | შუა ხორგის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. შუა ხორგა |
| 66 | ხობი | 24 | ძველი ხიბულის | ძველი ხიბულის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ძველი ხიბულა |
| 66 | ხობი | 25 | ხამისქურის | ხამისქურის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ხამისქური |
| 66 | ხობი | 26 | ხეთის | ხეთის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ხეთა |
| 66 | ხობი | 27 | ხეთის | ხეთის №1 ბაგა-ბაღის შენობა | სოფ. ხეთა |
| 66 | ხობი | 28 | ქ. ხობის | სს ,,საქართველოს ფოსტის" ხობის სერვისცენტრის შენობა | ქ. ხობი,ცოტნე დადიანის №181 |
| 66 | ხობი | 29 | პირველი მაისის | პირველი მაისის ე. შუშანიას სახ. საჯარო სკოლის შენობა | სოფ. პირველი მაისი |
| 66 | ხობი | 30 | ნოჯიხევის | ნოჯიხევის საჯარო სკოლის შენობა | სოფ. ნოჯიხევი |
| 66 | ხობი | 31 | შავღელეს | შავღელეს საჯარო სკოლის შენობა | სოფ. შავღელე |
| 66 | ხობი | 32 | ჭალადიდის | ჭალადიდის საბავშვო ბაღის შენობა | სოფ. ჭალადიდი |

**კომისიის თავმჯდომარე: მინდია ლომაია**

**კომისიის მდივანი: სოფიო პერტია**

## ახალი კადრები



**ნომრის სტუმარია მუნიციპალიტეტის რწმუნებული ზემო ქვალონის თემში ბატონი ლევან კილასონია.**

# ჩემი მოვალეობაა თემს ვემსახურო

***საქმე, რომელიც განდეს, შრომატევადია. როგორ ფიქრობთ, სოფელი რომ მართოთ, ხალხი აიყოლიოთ და მათთვის სასიკეთო საქმე აკეთოთ, რითი უნდა დაიწყოთ?***

–პირველ რიგში გულთან ახლოს უნდა მიიტანო ხალხის სატკივარი და მათი ჭირ-ვარამი გაიზიარო. უნდა იყო კეთილსინდისიერი, მონდომო და მაქსიმუმი გააკეთო თემის საკეთილდღეოდ. ხალხში მოიპოვო ნდობა, რომელიც დიდი ხანია დაკარგული ჰქონდათ. ხალხი, წინა მთავრობის დროს იკვებებოდა სიცრუით, თუ რამე კეთდებოდა თემში, ყველაფერი წინასაარჩევნო პიარისათვის. მოსახლეობას ხელისუფლების მიმართ ნდობა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, ხალხს იმედი დაუბრუნდა და ახალი ხელისუფლების მიმართ ნდობა გაუჩნდა.

***საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც სოფელს ხელმძღვანელობთ, ხალხის ნდობა უკვე მოიპოვეთ, რა გააკეთეთ მათთვის?***

–მაინცდამაინც არც თუ ისე დიდი დრო გავიდა, რაც მე მოვედი თემის ხელმძღვანელად. ექვსი თვის განმავლობაში გაკეთდა იმდენი, რაც წლების მანძილზე არ გაკეთებულა. ხალხი მადლობელია, პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში გაწეული დახმარებისათვის.

***ლევან, რა მიგაჩნიათ წარმატების ფორმულად, იყენებთ მას ყოველდღიურობაში?***

–ადამიანის წარმატების ფორმულა პირველ რიგში სიყვარულია. უნდა გიყვარდეს ის საქმე, რასაც აკეთებ. თუ საჯარო მოხელე ხარ, მით უფრო ხელმძღვანელ სამუშაოზე, უნდა გიყვარდეს ხალხი, პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდე დაკისრებულ მოვალეობას, უნდა გქონდეს ცოდნა და გამოცდილება. მახსენდება იაკობ გოგებაშვილის სიტყვები: „მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება“.

პასუხისმგებლობის გრძნობა ყოველთვის გამაჩნდა. ბავშვობიდანვე მიყვარდა წიგნები, რაც ჩემი სახელოვანი, თამამად შემიძლია ვთქვა, წინაპრების დამსახურებაა. მქონდა მიზანი, ვყოფილვიყავი ღირსეული ადამიანი. ზემო ქვალონი ჩემთვის ის თემია, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც ჩემი წინაპრების ძვლებია დამარხული. აქ მყავს მეგობრები, მეზობლები და ნათესავები, მყავს ოჯახი. მიყვარს ჩემი თემი და ჩემი უპირველესი მოვალეობაა ვემსახურო მას, დავიხარჯო მათ საკეთილდღეოდ, მით უფრო, დღევანდელი ხელისუფლება ამის სრულ შესაძლებლობებს გვაძლევს.

***გვიამბეთ თქვენზე–ვინ ხართ, საიდან მოდიხართ, რის გაკეთებას ცდილობთ?***

–დავიბადე 1976 წელს, ხობის რაიონის სოფელ ზემო ქვალონში, მოსამსახურის ოჯახში, ვარ პროფესიით ეკონომისტი, სპეციალობით მარკეტინგისა და ბიზნესის მენეჯერი. მაქვს კერძო ბიზნესში მუშაობის გამოცდილება, მყავს მეუღლე ირინე ქარდავა და ქალიშვილი სალომე.

***ახალმა ხელისუფლებამ მუშაობა დიდი პროგრამის განხორციელებით–სოფლის მეურნეობის აღორძინებით დაიწყო. თქვენი მუშაობაც ამ ეტაპს დაემთხვა. ბუნებრივია, იგი თქვენი მუშაობის პრიორიტეტი გახდა. როგორი კმაყოფილი ხართ, ხალხი თუა კმაყოფილი, რას ფიქრობთ, გაამართლა ამ ღონისძიებამ?***

–რა თქმა უნდა გაამართლა. ჩემი მოსვლა დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც იწყებოდა სოფლის მეურნეობის აღორძინების პროგრამა. მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის გავნითარების სამსახურთან ერთად ჩავატარეთ დიდი სამუშაოები, რომ არ დარჩენილიყო არც ერთი ბენეფიციარი სასოფლო–სამეურნეო ბარათის გარეშე. წლების განმავლობაში მოუხნავი მიწები მოიხნა და დაითესა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემი და თემის მოსახლეობის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო შ.პ.ს. „მექანიზატორის“ მენეჯერებს ბატონებს გია ნადარაიას და ჯანსულ ჯიშკარიანს სწრაფად და ხარისხიანად შესრულებული სამუშაოსათვის. ხალხი ემადლიერება მთავრობის მეთაურს, პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს მოსახლეობაზე გაწეული დახმარებისათვის.

***რას ითვალისწინებს სოფლის პროგრამა? რითი დაიწყო და რა კეთდება სოფელში?***

–სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით ზემო ქვალონის თემში კრება ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა. მოსახლეობის მოთხოვნით მიღწეულიქნა შეთანხმება სახოჭოლაოსა და საალანიო–საფაჩულიოს უბანში საყანე მიწების შემოღობვის და ზემო ქვალონის ერთ–ერთ უბანში წყლის შეყვანის სამუშაოების შესახებ, ამჟამად ორივე უბანში შემოღობვითი სამუშაოები დამთავრებულია, მოსახლეობა კმაყოფილია და წელს თემი უხვ მოსავალს ელოდება. უახლოეს დღეებში ზემო ქვალონის უბანში სასმელი წყლის შეყვანასთან დაკავშირებული სამუშაოები დაიწყება.

***რა იქნება შემდეგ?***

–თემში გასაკეთებელი ბევრია. ძირითადი პრობლემა კი გზის პრობლემა და ელექტროენერგიის ინდივიდუალური გამრიცხველიანებაა. ერთმანეთს უნდა ამოვუდგეთ. ხალხს მხარდაჭერა სჭირდება. მჯერა, ერთიანი ძალისხმევით–ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების–მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ კახაბერ ბენიძის და საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ მამუკა ქარდავას მხარდაჭერით თემში მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები დაიგეგმება.

***მალე დაიწყება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების ციებ-ცხელება, როგორია თქვენი აზრი ამ დიდ პოლიტიკურ პროცესზე? დიდი მუშაობის გაწევა მოგიწევთ?***

–რა თქმა უნდა უკვე დაიწყო წინასაარჩევნო ციებცხელება, ადმინისტრაციული რესურსების ჩარევა არჩევნებში არ მოხდება. მწამს, რომ ეს არჩევნები საქართველოში იქნება ყველაზე უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი. ხალხი ბრძენია და აირჩევს იმ კანდიდატს, რომელიც წარუძღვება ქვეყანას პრემიერ მინისტრთან ბატონ ბიძინა ივანიშვილთან ერთად და წაიყვანს ჩვენს ქვეყანას იმ დიდი, ნათელი მომავლისაკენ, რასაც „ქართული ოცნება,“ ქვია.

***რა გახდება სოფლის მომავლის წინაპირობა, შეიცვლება რაიმე თქვენთან?***

–თემში ამ მოკლე ხნის განმავლობაში ზემო ქვალონის უბანში მოსახლეობა რამდენიმე წლის განმავლობაში ითხოვდა ტრანსფორმატორის ცენტრალურ ადგილზე გადატანას, რაც წინა პერიოდში ვერ მოხერხდა. მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ კახაბერ ბენიძის შუამდგომლობით და თემის დეპუტატის ბატონ თენგიზ აბაკელიას თანადგომით, ეს სამუშაო შესრულებულია. გამოცვლილიქნა ელექტრო ბოძები და სადენები. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო მადლიერება ბატონ ზურაბ ბერაიას და მისი თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც შეასრულეს ეს სამუშაოები და ამის შედეგად მოსახლეობას ხარისხიანად მიეწოდება ელექტროენერგია. თემის ახალგაზრდების თანადგომით მოწესრიგდა აგრეთვე ცენტრალური სტადიონი.

***თქვენი სურვილები?***

–ჩემი სურვილი ემთხვევა ყველა ქართველის სანუკვარ ოცნებას– დავიბრუნოთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები–აფხაზეთი და სამაჩაბლო და ვიცხოვროთ ერთიან, ძლიერ საქართველოში.

***რა გინდათ უთხრათ თანასოფლელებს?***

–მინდა დავაიმედო იმით, რომ ახალი მთავრობა ზრუნავს ხალხზე, იქნება დახმარებები. წინასაარჩევნო დაპირებები იქნება შესრულებული და ერთმანეთის თანადგომით და ხელისუფლების ძალისხმევით მივალთ იმ მიზნამდე, რასაც ძლიერი სოფელი ჰქვია.

**ესაუბრა**
**ნანი კილასონია.**

## პედაგოგის უკვდავება

ბევრი კარგი ღონისძიების თაოსანია ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (დირექტორი აზა თათარიშვილი). აქ ჩატარებული ყველა ღონისძიება მოზარდის სულიერი ამაღლების, საზოგადოების ნამდვილ წევრად ჩამოყალიბების საქმეს ემსახურება.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ამასწინათ ჩატარებული მემორიალი ჭადრაკში, რომელიც ღვაწლმოსილი პედაგოგის აკაკი ზარანდიას ხსოვნას მიეძღვნა. მემორიალის გახსნისას მისი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებზე პედაგოგიურ მოღვაწეობაზე, მის ამაგზე სპორტის განვითარების საქმეში ისაუბრეს ფიდეს მწვრთნელებმა მ. გეთიამ, პროფესორმა გ. კვიკვინიამ და ამ სტატიის ავტორმა. მოზარდები დიდი ყურადღებით ისმენდნენ და სპორტის ამ სახეობაში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. მემორიალმა არაერთი ნიჭიერი მოჭადრაკე გამოავლინა, აი ისინი: ლ. გერგაია, ა. შონია, გ. ლაცარია, დ. დოლბაია, თ. კვიკვინია, ა. კვიკვინია, ლ. ბუკია, თ. ბუკია, ც. ესებუა, ა. სორდია, გ. შენგელია.

მოსწავლეთა სახლის თანამშრომლებმა ყველა პირობა შეუქმნეს მათ თავიანთი ნიჭისა და უნარის გამოსავლენად. საუკეთესო საჭადრაკო პარტიებისათვის და თვალსაჩინო მიღწევებისათვის. საპრიზო ადგილებზე გასულ მოზარდებს პრიზები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

*საშა არჩაია,*
*ქ. ხობის №2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი.*

# ახალი აღმოჩენა





ფაზისის ადგილმდებარეობის განსაზღვრა უძველესი დროიდან იყო მეცნიერებისა და ზოგადად, საზოგადოების ინტერესის საგანი. ძველი ბერძენი ავტორების ცნობებით, იგი მდინარე რიონის შესართავთან უნდა ყოფილიყო. ახალ დროში ამ საკითხით დაინტერესდა ცნობილი ფრანგი მოგზაური დიუბუა დე მონპერე. იგი ემყარებოდა ერთი მხრივ სტრაბონის ცნობილ განსაზღვრას, რომ მდინარე ფაზისის შესართავთან მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხების ემპირიონი, გარშემორტყმული მდინარით, ზღვითა და ტბით, ხოლო, მეორე მხრივ, ფაზისის ციხესიმაგრის არიანესეული აღწერილობით. შემდგომ ამ საკითხით დაინტერესდნენ თ. ბრუნი, ნ. შაფრანოვი, ლ. ელენიცკი, მ. ივაშჩენკო, მ. ბერძენიშვილი, ბ. კუფტინი, ნ. ლომოური, დ. ხახუტაშვილი...

ფაზისით იწყება საქართველოში საქალაქო ცხოვრების ჩასახვა, ამიტომაც მის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. 1961 წელს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია, მისი მთავარი დანიშნულება სწორედ ფაზისის პრობლემის შესწავლა იყო. მანამდე კი 1933 წელს მდინარე რიონის ხეობით მოსკოვის ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები დაინტერესდნენ. 1935 წელს რიონის შესართავი დაზვერეს ბ. გოგოლიშვილმა და ა. იესენმა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჭალადიდს, პატარა ფოთსა და ყულევს, ანუ ქალაქ ფოთის შემოგარენს პროფესორი თეიმურაზ მიქელაძე ფაზისის მიმდებარე ქვეყანას, მის გარეუბანს უწოდებდა. ფოთის ექსპედიცია დაარსებიდანვე შეუდგა საკვლევი მხარის შესწავლას. 1933 წლიდან რეგიონში მრავალ არქეოლოგს უმუშავნია, განსაკუთრებით გამოვყოფდი XX საუკუნის 70-იან წლებში ჭალადიდსა და ყულევში 1999–2006 წლებში ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს. ჭალადიდში პროფესორ თემურ მიქელაძის ხელმძღვანელობით შესწავლილიქნა „ზურგას“ ნამოსახლარი სოფლის ცენტრში და „სიმაგრის“ ნამოსახლარი სოფელ საქორქიოში. აღმოჩნდა, რომ ძვ. წ. აღრიცხვით I ათასწლეულში აქ არსებობდა საქალაქო ხელოსნობის წარმოშობის წანამძღვრები. ყულევში მიმდინარე სამუშაოებს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ პაპუაშვილი ხელმძღვანელობდა, აღმოჩნდა რომ პირველი დასახლებანი აქ 3500 წლის წინ გაჩნდა. ყულევი იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ აქ მიმდინარე სამუშაოების ხელმძღვანელი მიწვეულიქნა ბაქოს, ვანის, სტამბოლის, საბერძნეთის, ბათუმისა და ტრაპიზონის საერთაშორისო კონფერენციებზე, ხოლო აქ მოპოვებული მასალები წარმოდგენილი იყო მოსკოვის, ვისბადენისა და ბოხუმის საერთაშორისო არქეოლოგიურ გამოფენებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეში არქეოლოგიური სამუშაოები მრავალი წელია მიმდინარეობს, აქ წინარე ქრისტიანული ხანის სამარხები არ აღმოჩენილა, ცნობილია, რომ ბრინჯაოს ადრე რკინის ხანის სამაროვნები არტეფაქტების სიუხვით გამოირჩევა, რაც აადვილებს შესაბამისი პერიოდის შესახებ სამეცნიერო დასკვნების გაკეთებას. მიმდინარე წლის 30 მაისს, ჩვენს მიერ ადგილობრივი მცხოვრებლების თენგიზ ჩაჩიბაიასა და კახა ხუნჯუას ინფორმაციის საფუძველზე, ჭალადიდის თემის სოფელ საღვამიჩაოში მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე ბრინჯაოს ხანის სამაროვნები დაფიქსირდა. იგი მდინარე რიონმა გამორეცხა. ფლატეზე 100-150 მეტრის გაყოლებაზე კარგად ჩანს კულტურული ფენები, ჩვენს მიერ აკრეფილიქნა მძლავრი ხანძრის შედეგად უფორმო მასებად ქცეული ბრინჯაოს ნივთებისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები... აღმოჩენის შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა კახაბერ ბენიძემ აცნობა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საიდანაც მოვლინებულიქნენ ექსპერტები–არქეოლოგები იულონ გაგოშიძე და რევაზ პაპუაშვილი, ისინი ადგილზე გაეცნენ მდგომარეობას, შემდგომ შეხვდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს–კახაბერ ბენიძეს, მახარე ჩოკორაიას, როსტომ კილასონიას, კულტურის სამსახურის უფროსს ფერიდე გოგიას. ექსპერტების დასკვნა ერთმნიშვნელოვანია, აქ გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

***გოგიტა ჩიტაია,***

***მთავარი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში.***

რუბრიკის გაგრძელება

# რას ფიქრობს ხალხი?

**ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მოსახლეობაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჩვენ დავინტერესდით, რას ფიქრობენ ჩვენი მუნიციპალიტეტის რიგითი ადამიანები და გავესაუბრეთ მათ. ზოგიერთმა რესპოდენტმა დასმულ კითხვაზე, თუ რას ფიქრობენ დღევანდელობაზე ღიად ისაუბრა...**

**როგორ აფასებენ და რას ელიან მომავლისაგან, როგორია მათი შეფასება, მათ მოსაზრებებს უცვლელად ვბეჭდავთ.**

**თემურ ქორთუა:**

–2003 წლის ნოემბრის რევოლუციამ მთავრობაში ნიჭიერი ნაკადი მოიყვანა, მაგრამ ვაი, რომ ამ გამოუცდელმა, გამოყვანილმა ხალხმა ეს ნიჭიერება თავისი ერის წინააღმდეგ მიმართა. ზოგი ნებით და ზოგი უნებლიედ ამ ტირანული მანქანის შემადგენელ ნაწილად იქცა. თითქოსდა ერთ დროს ბედნიერი ხალხი ჯოჯოხეთში აღმოჩნდა. ზოგი უსამართლობისა და ზოგი მათ მიერ მოგონილი სიმართლის მსხვერპლი გახდა. ინგრეოდა ტრადიცია, ადამიანის ბუნება, ჯანმრთელობა, ოჯახები. უმუშევრობამ პიკს მიაღწია. მთავრობა ისე გაველურდა, რომ რეალობას ვერ აღიქვამდა. თავიანთი ტყუილების თვითონ თუ ჯეროდათ. ხალხი ტიროდა–მეზღაპრე იცინოდა. გაუსაძლისი ყოფისა და უხვი კრედიტების ხარჯზე იგებოდა გზები, იღებებოდა ფასადები, იმართებოდა გაუთავებელი სამთავრობო ნადიმები.

მაგრამ ჭკვიანმა მტერმა და უგუნურმა მოყვარემ ვერ გათვალა ძალა ჩვენი სარწმუნოებისა. მიადგნენ ჩვენს სალოცავებს და ამ დროს ატირდა დედაი მათნი. და სულ მალე ამ უზნეობას წერტილი დაესმება. ვერ იდავითეს–დღესაც ვერ გაუგიათ, რა აწერინებდა დიდ დავითს სინანულის საგალობლებს, რატომ ითხოვდა ღვთისაგან შენდობას.

ოქტომბერმა გაანათა. ხალხი დიდი იმედებით აინთო. მე თავისუფლად შემიძლია ბიძინა ივანიშვილს მისიონერი ვუწოდო–ის გადაარჩენს საქართველოს და ღმერთს ვთხოვ, არ მომცეს შეცდომის დაშვების საშუალება. სამწუხაროდ გაუთავებლად ვდაობთ, ვიდრე კონკრეტულ გადაწყვეტილებას ვიღებთ, მაგრამ რაც მთავარია, არსებობს მთავრობისგან მზაობა უკეთესობისკენ წინსვლისა.

ღმერთო, მოგვეცი მოთმინება, რომ ავიტანოთ ის, რისი შეცვლაც არ შეგვიძლია. მოგვეც გამბედაობა, რომ შევცვალოთ რაც შესაცვლელია და მოგვეც გონება, რომ განვასხვავოთ ერთი მეორისაგან.

ღმერთი არს ჩვენთან!

**ნაირა ბერაია:**

–ქვეყნის კეთილდღეობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას. საკვები პროდუქტების უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად გლეხებსა და ფერმერებს თანადგომა და დახმარება სჭირდება, აგროტექნიკური სამუშაოების დროულად ჩატარებისთვის ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

გლეხმა კარგად უნდა იცოდეს, რომელ მცენარესაც უვლის, იმის მიხედვით ნიადაგის მომზადება (ხვნა, გაფხვიერება, კულტივირება, სასუქებით გამდიდრება, მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებების ეფექტურად გამოყენება, მოსავლის აღება, გასაღების ბაზარი და ა.შ). კარგად მახსოვს, ყველა სოფელში არსებობდა მეურნეობები, სადაც გლეხს შეეძლო ყველა ინფორმაცია მიეღო იმის შესახებ, თუ რა დროს, რა გაეკეთებინა ამა თუ იმ კულტურის მოსაყვანად, მაგრამ ყველასათვის ცნობილია თუ როგორ გააჩანაგეს, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს სოფლის მეურნეობა. მატლმა და თეთრმა პეპელამ შეაწუხა და შეჭამა სოფელი. დაუხნავი დარჩა ჰექტარობით მიწები და იმედგაცრუებულნი დარჩნენ გლეხები. ყველამ კარგად იცის, რომ მცენარეები, ცხოველები, ფრინველები, ლოზუნგებით და ტყუილი დაპირებებით არ იზრდებიან, მას მოვლა-პატრონობა და რაც მთავარია, საკვები სჭირდება. ალბათ დამეთანხმებით იმაში, რომ სოფლის მეურნეობა უფრო მომგებიანია, ვიდრე ეროვნული ეკონომიკის სხვა სფერო.

„თუ კაცი გონიერია სოფელი ღონიერიაო!“–გვაქვს ქართველებს ასეთი გამოთქმა:

და გამოჩნდა გონიერი კაცი (მადლობა ღმერთს) ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ვისაც უსაზღვროდ უყვარს თავისი სამშობლო, იცის სოფლის ფასი. მისი ხელისუფლებაში მოსვლით გლეხმა ნამდვილად ამოისუნთქა, მიეცა საშუალება დროულად შეასრულოს ყველა აგროტექნიკური სამუშაო, მოსავლის რეალიზაციით მიიღოს ფულადი შემოსავალი და პროდუქტების მარაგი, გაიუმჯობესოს საოჯახო ბიუჯეტი, იცხოვროს თანამედროვეობასთან მიახლოებულ დონეზე და ლუკმა პურის საშოვნელად საზღვარგარეთ არ მოუწიოს გაქცევა. დაიბრუნოს მიწა და დაუბრუნდეს თავის სოფელს...

გავიაზროთ, რომ ეს ერთი ხელგადასმით არ გაკეთდება.

ზაფხულის ლამაზი სუნთქვა არემარეს ზღაპრული სურნელით ავსებს, ნაყოფიერების ქალღმერთის ღვთიური მადლით გასხივოსნებულმა მარჩენალმა მიწამ ქუდზე კაცს მოუხმო და უხვი მოსავლის მიღების იმედით ხარობს გლეხკაცი.

„მშრომელი კაცი სოფლის ბურჯიაო,“ შრომისმოყვარე–ხალხის მოყვარე, შრომის მოძულე–ხალხის მოძულეო“–ამბობს ქართული ანდაზა, ეს გამონათქვამი ქართული ანდაზების თანავარსკვლავედს მიეკუთვნება და ყურად უნდა ვიღოთ მისი არსი და სიდიადე.

**ესაუბრა**
**ნანა კემულარია.**

## პატრიარქის კურთხევით

11 ივლისს, ხობის კულტურის სახლში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით დოკუმენტური ფილმების სტუდია „გუთნის“ მიერ გადაღებული




თავად ემოციებით სავსე ფილმის „მიწის სჯული“-ს ნახვისას მაყურებელიც არ დარჩენილა ემოციისა და ცრემლის გარეშე. ორგანიზატორების თქმით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს კურთხევით და მისი კურთხევის ასასრულებლად ეს ფილმი ყველა ქართველის ოჯახში უნდა შევიდეს.

ფილმის დასასრულს, სტუდიის დირექტორმა ზვიად სუხიაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას, საჯარო სკოლების დი-

## „მიწის სჯულის“ პრეზენტაცია

ფილმის „მიწის სჯული“-ს ჩვენება გაიმართა, რომელმაც მაყურებელში დიდი ინტერესი გამოიწვია.

ფილმი მხატვრულ-დოკუმენ-



ტურია და უცხოეთში ქართველი ემიგრანტების ყოფა-ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს. იგი დედა–ეკლესიის, ქართული ფესვების, ტრადიციების, ფოლკლორის, ეთნოგრაფიასა და ისტორიას ასახავს. ფილმში მართლაც რომ ემოციურად არის ნაჩვენები ქართველი ემიგრანტების ისტორიები, განცდები, ახლობლების გარეშე ცხოვრება, სადაც ნათლად ჩანს ტკივილი სამშობლოს მონატრებისა.

განსაკუთრებულ ფილმს განსაკუთრებული აუდიტორიაც ყავდა... ფილმის პრეზენტაციას ხობის ხარების დედათა მონასტრის მონაზონი დედა ეკატერინე, მუნიციპალიტეტის გამგებელი კახაბერ ბენიძე, გამგებლის მოადგილეები მახარე ჩოკორაია და როსტომ კილასონია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფერიდე გოგია, სხვა საჯარო მოხელეები და ადგილობრივი მოსახლეობა დაესწრო.

რექტორებს, განათლების რესურსცენტრს, მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს, კულტურის ცენტრს თანამშრომლობისთვის და დასძინა, რომ სტუდია „გუთანი“ ამგვარ აქციებს კვლავ გააგრძელებს.

მოწვეულმა სტუმრებმა დედაო ეკატერინემ, კახაბერ ბენიძემ, ფერიდე გოგიამ, ბეჟან ნადარაიამ და „გუთანის“ კონსულტატმა პროფესორმა ივანე ჯაფარიძემ მადლობა გადაუხადეს იმ ნიჭიერ ადამიანებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი და პროფესიონალიზმი ჩადეს ამ ფილმის გადაღებაში და უფლის შეწევნა უსურვეს კეთილი საქმეების აღსრულებაში.

დასასრულს, სცენაზე დარბაზში მყოფი სპორტისა და ახალგაზრდულ ღონისძიებებში წარჩინებული აღსაზრდელები იხმეს და სიმბოლურად ფილმის აუდიო დისკებით დააჯილდოეს.

**ნანა კემულარია.**

პოეზიის სამყარო

# „პოეზიისთვის შექმნილი შემოქმედი“

## ანუ უსათაუროდ „უსათაუროებზე“



*ქ. ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ლიტერატურულმა კაფემ ენვერ სალაყაიას უმასპინძლა, სადაც მისივე წიგნის „სულის ფსკერიდან ცის გუმბათისკენ ანუ უსათაუროები“-ს პრეზენტაცია გაიმართა.*

*ამასწინათ პატრიარქმა წირვაზე იქადაგა, რომ ერი უნდა დაუბრუნდეს წიგნებს და ამდენად, წლის ყველა შაბათი წიგნის კითხვის დღედ გამოაცხადა. ეს იდეა დარგის ხელმძღვანელებმა იმთავითვე აიტაცეს და პირველ სტუმრად პოეტი ენვერ სალაყაია მიიწვიეს.*

*...იმ დღეს ენვერ სალაყაიას წიგნისა და ლექსის სიყვარულმა გააერთიანა იქ დამსწრე საზოგადოება. თავშეყრის მიზეზი იმ გზისა და იმ მდიდარი სულიერი სამყაროს ზიარება იყო, რომელიც ბატონ ენვერ სალაყაიას სახელთან, მის პოეზიასთან ასოცირდება და რომელშიც ნათლად იკვეთება პოეტის საკუთარი ხელწერა, ყველა დროის შესაფერი–აზრთა, გრძნობათა, განწყობილებათა მრავალფეროვნებით, პატრიოტული, სიყვარულის უკვდავების რწმენით შთაგონებული... იგი კარგახანია მკითხველს ელოდება და სრული ჰარმონიისკენ მიგვაქანებს...*

*ღონისძიებამ ორ საათს გასტანა და ენვერ სალაყაიას პოეზიის სამყაროში გვამოგზაურა, რომელიც ამაღლებული სიყვარულის, წრფელი და ვაჟკაცური მეგობრობის, სულიერი რაინდობის საგალობელია. საღამოს უძღვებოდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომელი დოდო კაკულია, ბიბლიოთეკის მკითხველები თემურ ალანია, თამარ კვიკვინია, მაკა ჯგერენაია, ფიქრია კვეკვესკირი, ხოლო პოეტის ბიოგრაფია და წიგნის მოკლე მიმოხილვა გააკეთა კულტურის ცენტრის დირექტორმა, პოეზიის ტრფიალმა და ავტორის უზადო ნიჭის დამფასებელმა ბეჟან ნადარაიამ.*

*მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ქ. ხობის სამების სახელობის ტაძრის წინამძღოლი მამა კირიონი, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფერიდე გოგია, პოეტი ლაშა გვასალია, ბატონი ენვერის უახლესი მეგობრები და პოეზიაზე შეყვარებული ყველა თაობის ადამიანები.*

*ღონისძიება მეტად საინტერესოდ წარიმართა, ერთმანეთს ცვლიდა ლექსი და სიმღერა. საინტერესო იყო პოეტ ლაშა გვასალიას გამოსვლა პოეზიის დანიშნულებაზე და საერთოდ, ქართულ თანამედროვე პოეზიაზე, მან საკუთარი ლექსით მიულოცა პოეტს წიგნის პრეზენტაცია. ასევე საკუთარი ლექსით მიესალმა ავტორს ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველი თემურ ალანია.*

*ღონისძიების დასასრულს, გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ პოეტს სამახსოვროდ უილიამ შექსპირის „სონეტები“ გადასცა.*

**მახარე ჩოკორაია, გამგებლის მოადგილე:** –ძალიან კარგი ინიციატივაა შაბათი რომ წიგნის კითხვის დღედ გამოცხადდა. ამით ჩვენ, მომავალ თაობებს წიგნთან ურთიერთობას შევაყვარებთ...

მოხარული ვარ ბატონ ენვერის პოეზიის გაცნობით, მან მართლაც რომ ჭეშმარიტი პოეტის ცხოვრებით იცხოვრა... წინსვლას და წარმატებებს, დიდი ხნის სიცოცხლეს, ლექსთა და წიგნთა სიმრავლეს ვუსურვებ.

**ფერიდე გოგია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი:**–ჩვენთვის აუცილებელი იყო დაგვეფასებინა ბატონი ენვერის შემოქმედება როგორც ხობელი ეროვნული პიროვნებისა და კარგი შემოქმედის. მისი ლექსები გამოხატავენ სამშობლოსა და მოყვასის სიყვარულს. ვუსურვებდი, კვლავაც წარმატებებს შემოქმედებით გზაზე, ჯანისა და სულის სიმრავლეს, საქართველოს აყვავებას.

**ლაშა გვასალია, პოეტი:**–ენვერ სალაყაიას პოეზია ტრადიციული, ქართული ლექსწერის უსასრულობიდან იღებს ფესვებს და გრძელი სუნთქვითი და პოეტური ინტონაციით სივრცითი ხედვის ასოციაციებს ქმნის! ბუნებრივი მეტაფორა, კონვენციური წყობა ლირიული ხვეულებით გარწმუნებს ამ დიდებული შემოქმედის განუმეორებლობაში! არიან წამისმიერი კალმოსნები, წაკითხვის მერმის არაფერი რომ გრჩება, ენვერ სალაყაია კი მუდმივობით გასხივებულია და გონითი სიწრფელე, ასე, რომ აკლია ჩვენს მწერლურ სამყაროს, ჭარბად მოძალებია! ის ეძებს და პოულობს, პოულობს, იხატავს ციდან მისეულად ნანახ და აღქმულ ფერებს! ის უდაოდ პოეზიისთვის შექმნილი შემოქმედია!

**ლუიზა ცანავა, ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის უფროსი:** –ენვერის და მის ოჯახს 30 წელია ვიცნობ. უაღრესად თავმდაბალი, მოკრძალებული ადამიანია, რომელსაც ჰყავს ასევე თავმდაბალი, მოკრძალებული და ოჯახის მოამაგე მეუღლე. ენვერი ორი ქალიშვილის მამა და ორი შვილიშვილის ბაბუაა. შვილებმა ლამაზი ოჯახები შექმნეს. დიკა მამის კვალს ადგას და უაღრესად დახვეწილი ლექსებით აოცებს მკითხველს.

ბატონ ენვერს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელად ცხოვრებას ვუსურვებ. მის კალამს მელანი არასოდეს შეშრობოდეს. ახალ-ახალ გამოცემებს ვუსურვებ, მის წიგნებს კი მკითხველი არ მოკლებოდეს.

**ბეატრის რუსია, სკოლა „არეას“ დირექტორი:** –პოეზია სულის ამოძახილია... ერთი მშვენიერი დღე ლამაზ წუთებს ითვლიდა, წუთები, რომელიც ნებისმიერ ადამიანს ამაღლებს და ლამაზ სამყაროს გარშემო შემოატრიალებს...

საღამო, რომელიც ბატონ ენვერ სალაყაიას მიეძღვნა, დაუვიწყარია.

მადლობა მათ, ვისაც ახსოვს და შეუძლია ლამაზი წუთები აჩუქოს ადამიანებს... შემატოს ძალა სიცოცხლის, წუთები აღმაფრენის და სულის ამოძახილი, რომელსაც პოეზია ჰქვია...

დაე, იმრავლოს ხობის სინამდვილეში ლამაზმა დღეებმა და წუთებმა!

**დოდო კაკულია, ცენტალური ბიბლიოთეკის თანამშრომელი:** –ბატონ ენვერ სალაყაიას პიროვნება მდიდარი სულიერი სამყაროს მატარებელია, მასში უდიდესი სიბრძნეა დავანებული, რაც ასახვას მის პოეზიაში პოულობს–აზრთა, გრძნობათა, გან-წყობილებათა მრავალფეროვნებით შთაგონებული.



ჩემთვის, როგორც პოეზიის მოყვარულისთვის, ენვერ სალაყაიას პოეზია გამორჩეულია საკუთარი ხელწერით, ის „ხატავს“ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი (ფერებით) „საღებავებით...“ მისი ლექსები მისი სულის ამოძახილია, გულიდან მონაწურია, ჟამთა დინებაა, ბედთან რკინებაა, რითმის მიგნებაა, ბუნებით ტკბობაა, გულის დაპყრობაა, სულის ზეიმია, სიცოცხლისა და სიყვარულის საგალობელია; ეს ყველაფერი კი უფლის წყალობაა!

ბატონ ენვერს ვუსურვებ სულის მხნეობას, მის პიროვნებას მუდამ ათროლებდეს ლექსის მაგია, მუზის, შთაგონების წყარო მუდამ დაუშრეტელი ყოფილიყოს მისთვის, მის წიგნებს არ მოჰკლებოდეს ჭეშმარიტი მკითხველი. „ლექსები არასოდეს კვდებიან!“ ასე რომ უსათაურო ლექსების ავტორს უკვდავება გარანტირებული აქვს...

**სვეტა გვასალია, „სათნოების სახლის“ თანამშრომელი:** –მივესალმები კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორეს გადაწყვეტილებას. სწორედ მისი კურთხევით დაწესდა საქართველოში ყოველი შაბათი წიგნის კითხვის დღედ.

6 ივლისი ერთ-ერთი შაბათთაგანია, რომელიც დაუვიწყარ ტკბილ მოგონებად შემორჩა ჩემს მეხსიერებას, როდესაც ქ. ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ამავე მუნიციპალიტეტის მკვიდრის, ხობის კოლორიტი პოეტის ბატონ ენვერ სალაყაიას წიგნის პრეზენტაცია.

თითოეულ მონაწილესა და დამსწრე საზოგადოებას მყარად ჰქონდა სულში გამჯდარი თითოეული ლექსის თითოეული ბწკარი...

სწორედ იმ დღეს გავიცანი ბატონი ენვერი თავისი შემოქმედებით. მწამს, რომ სისხლით ხორცამდე გენიალური პოეტია.

ამაღელვებელი იყო წარსულზე საუბარი, მიუხედავად დუხჭირი ცხოვრებისა, მისთვის სიხარულისა და ბედნიერების მომტანი იყო ყოველი დღე, რადგანაც მუდმივად შეეძლო ფიქრი პოეზიაზე. აღნიშნა, რომ მუზა სწორედ მისი მეუღლე ქალბატონი თამილა გვასალია გახლდათ. სწორედ მას მიუძღვნა პირველი ლექსი, რომელიც ძალიან უყვარს.

მადლობას ვუხდი ყველას ამ ლამაზი დღისთვის, ასევე ბიბლიოთეკის განყოფილების გამგეს ქალბატონ ლუიზა ცანავასა და თითოეულ თანამშრომელს დაუვიწყარი საღამოს ორგანიზატორობისა და მასპინძლობისთვის.

ბატონ ენვერ სალაყაიას ვუსურვებდი, ბედნიერ ცხოვრებასა და დიდხანს სიცოცხლეს. მოხარული ვარ, რომ გავიცანი მისი შემოქმედება. გპირდებით, მუდამ ვიქნები მისი პოეზიის თაყვანისმცემელი.

*პრეზენტაცია მილოცვებითა და ლამაზი სურვილებით დასრულდა.*

*გაზეთი „ხობის მოამბე“ ხშირად „მასპინძლობს“ ენვერ სალაყაიას, მისი ლექსების პირველწყაროს. ვისურვებდით, მრავალგზის გაეხარებინოს მკითხველი.*

**ნანა კემულარია**

ხანდაზმულები

# შრომაში დამშვრალი მარჯვენა

შეუჩერებლად ბრუნავს წუთისოფლის ბედის ბორბალი, ადამიანთა მოდგმის უცვლელი და განუყრელი თანამგზავრი, ჟამთა სრბოლაში ყველაფერი ბერდება, თავად დრო-ჟამიც და ადამიანის გული კი არა. წუთისოფლის ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე მომავალი თითოეული მგზავრი სხვადასხვა გზას ირჩევს, ანუ „ზოგი ლხინსა, თამაშსა, ზოგიც უცეცხლოდ იწვება.“ ვინც ღვთის ბოძებულ სიცოცხლეს მხოლოდ მცონარობაში, ცეკვა-თამაშსა და ფუქსავატურ გართობაში ატარებს, მათი ხსოვნა გაზაფხულის თოვლივით სწრაფად ქრება, ხოლო იმ ადამიანთა სახელები, რომელთათვისაც დღენიადაგ მუხლჩართული შრომა ცხოვრების მიზნად და ადამიანობის საზომად ქცეულა, შთამომავლობას საშვილიშვილოდ გადაეცემა და კელაპტარივით ანთია, რათა მომავალ თაობას „სიძნელე გზისა გაუადვილოს“...

სწორედ ასეთ ადამიანზე მინდა მოგითხროთ, კაცზე, რომელსაც სიყრმიდანვე ჰქონდა შესისხლხორცებული, რომ ვაჟკაცს, გამრჯე ხელი ამშვენებს და კაცის ღირსება შრომაგარჯილობით ფასდება. კაცზე, რომელმაც საკუთარ ღმერთად ბავშვობიდანვე ალალი შრომა არჩია...

**ნიკოლოზ პაჭკორია,** მიუხედავად ასაკისა, ახოვანი, ლამაზი, მთასავით კაცია... მასთან ხანმოკლე სტუმრობით ვისარგებლე და მისი განვლილი ცხოვრებით დავინტერესდი.



ჩემმა სტუმრობამ გაახარა, ვგრძნობდი, მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ადამიანის თვალებში ჩაგუბებული სიცოცხლის დაუოკებელ წყურვილით, თმებში გარინდულ წელთა სიმრავლეს უჯანყდებოდა და არ სურდა ფარ-ხმალის დაყრა.

რამდენიმე შტრიხი ბატონ ნიკოლოზის პორტრეტისთვის. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, მალე სამამულო ომის მაუწყებელმა ზარმა ჩამოკრა და სხვებთან ერთად პატრიოტი ვაჟკაცი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ბევრჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში. არაერთხელ მოხვედრილა ჰოსპიტალში ნაიარევი, ბოლოს ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დემობილიზაციით სამშობლოში დააბრუნეს. მტერზე გამარჯვება ხორგაში, თავის მშობლიურ სოფელში იზეიმა. ომისა და შრომის ვეტერანი საუბრისას ხშირად იხსენებს ომის ეპიზოდებს, ბრძოლის ველზე დაღუპულ ახლობლებს და დღესაც გული წყდება, ბევრი ახალგაზრდა თანატოლი თანასოფლელი და მეგობარი სამშობლოში, რომ ვერ დაბრუნდა.

სოფლის ერთგვარ მემატიანეს, დღესაც ყურში ჩაესმის სკოლისკენ მიმავალ, ნახევრად მშიერ თანატოლებთან ერთად სიმწრით ნამღერი „ჩვენ ვართ მუშისა და გლეხის შვილები“. ახსოვს ომი, შიმშილი, ის მძიმე ტკივილიანი დღეები, რომლებიც მრავლად არგუნა ცხოვრებამ, მაგრამ სიძნელეთა წინაშე ქედი არ მოუხრია.

დუხჭირი ცხოვრების მრავალქარტეხილგამოვლილ ვეტერანს უამრავ ადამიანთან და შრომით კოლექტივებთან ჰქონია საქმიანი ურთიერთობა. იგი ყველგან და ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ზნეობით, მუყაითობით, სიბეჯითით, გასაჭირში ჩავარდნილისადმი მუდამ დახმარებისთვის მზადყოფნითა და შეუდარებელი იუმორით, საოცარი სტუმართ-მასპინძლობით, ჩვენი კუთხის ტრადიციების დაცვით. ენაწყლიანი მოსაუბრისა და ხუმრობის დიდოსტატის გვერდით ყოფნა ყველას სიხარულს ანიჭებდა და ანიჭებს. მის მიერ თქმული ომახიანი ლექსი, სიმღერა, ღვთაებრივ მელოდიებად ილვრება ფუძემაგარი ოჯახის ჭერქვეშ, სადაც ურიერთპატივისცემის, სიყვარულისა და უფროს-უმცროსობის ეტიკეტი არასდროს ირღვევა.

ჩვენი საუბარი ქვეყნისა და სოფლის სატკივარსაც შეეხო. ბატონმა ნიკოლოზმა კარგად იცის მიწისა და შრომის ფასი. საუბარში შიგადაშიგ მისი თანამეცხედრე ქალბატონი გვერთვებოდა. იხსენებდა თანაცხოვრებით განვლილ გაჭირვების წლებს. მიუხედავად ამისა, თუ როგორ შრომობდნენ ერთად დიდი სიყვარულით, სიძნელეთა წინაშე ქედი არასდროს მოუხრიათ.

შრომაში დამშვრალი მარჯვენით დღენიადაგ ფუტკარივით მოფუსფუსე გუთნისდედამ სამშობლოს სამი სასახელო შვილი გაუზარდა (სამივეს უმაღლესი განათლება მიაღებინა), ორი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი. ბატონები დათო და გივი პაჭკორიები ყველასათვის ცნობილი პიროვნებები თავიანთი ინტელექტით, ნიჭით, განათლებით, კულტურით, შრომისმოყვარეობით სტუმარ-მასპინძლობით, მამა-პაპური ტრადიციების ერთგულებით, სიკეთით და მადლით აღსავსენი. მათ არა ერთ თანამდებობაზე უმუშავიათ და ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებიათ. ქალიშვილი ქალბატონი ნათელა პროფესიით ეკონომისტი საუკეთესო მეუღლე და ორი ვაჟიშვილის დედაა. სათნო, ნაზი და პეწიანი ქალბატონი, გასაოცარი ხიბლით და აურით გამორჩეული თავისი საქმის კარგი მცოდნე და პროფესიონალი სიძე ბატონი რევაზ შონია პატიოსანი, განათლებული, კაიკაცობით ცნობილი, პურ-მარილიანი და ენაწყლიანი. რძლები ქალბატონები ინეზა ტყებუჩავა და ნინო ჯორჯიკია. შესანიშნავი ადამიანები თავიანთი ლამაზი ურთიერთობებით, სტუმართმოყვარეობით (რაც უფრო ახლოს იცნობ ადამიანებს მით უფრო ძნელია მათ შესახებ წერა) თამამად შემიძლია ვთქვა, მართლაც არაჩვეულებრივი მეუღლეები, დედები და ბებიები არიან, ასევე კარგი მეზობელ-ნათესავები, მეგობარი და ყველასათვის საყვარელი ადამიანები.

ბატონ ნიკოლოზს და ქალბატონ ლიდას თავზე შვილიშვილები და შვილთაშვილები ახვევია, „დატოტილი“ მხრებით გახარებულია. ნაშიერი თანდათან მატულობს, მეუღლეც გვერდით ჰყავს. (თვალებში ძველებური სიყვარული უციმციმებს). პატარა შვილიშვილი ნიკოლოზი განსაკუთრებით უყვარს და არც არის გასაკვირი, ის ხომ მისი „სეხნიაა“, მისი ჯიშისა და ჯილაგის მატარებელი (უსაზღვროდ უყვარს დიდი ბაბუა).

ბატონი ნიკოლოზი ასაკთან შედარებით (90 წლისაა) კვლავ მხნედ გამოიყურება, არც ჯანი აკლია და არც მეხსიერება ღალატობს, ცხოვრებისეული გამოცდილებით დახუნძლულმა დიდებული თამადობა გამიწია.

როგორც იტყვიან, ბულბულს დააჯენს ჭიქაზე თავისი მჭერმეტყველებით, განათლებით და მშვენიერი პოეტური სტრიქონებით. (საკუთარი ლექსი წამიკითხა).

ღვთაებრივი მადლი ტრიალებს დიდ ოჯახში, ხარობს კედელ-ყურე, მალლდება ჭერი და საოცარი სითბო და სიყვარული ავსებს.

დიდხანს ყოფილიყავი ჩემო ლამაზო მოხუცო, ამ მზისქვეშეთში შენი ლიბომაგარი ოჯახისა და მადლიერი კუთხე-მეზობლის საიმედოდ. კიდევ დიდხანს დამტკბარიყავი ამ წუთისოფელში ცხრათვალა მზით, შენი საქმიანი ფუსფუსი არ მოშლოდეს ლამაზ კარ-მიდამოს, ქვეყნისა და ხალხის წინაშე პირნათელო ადამიანო.

**ნაირა ბერაია**

ახალი სახელები

*ხობელი ახალგაზრდა ირაკლი ქაჯაია ძალიან პატარა ასაკიდან ცეკვავს. ცეკვამ უამრავი რამ შესძინა. ყავს ბევრი მეგობარი, რომელთა გარეშეც ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. დღეს Fairytale show (ზღაპრული შოუ) მისი მეორე სახლია, სადაც ბევრი ტკივილი თუ სიხარული გაუზიარებია. ხშირად დადიოდა გასტროლებზე, მისი ფესვები ხობშია. სწორედ, აქ მოხდა მისი პირველი „პროფესიული ნათლობაც“–ხობის ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ლაზიკაში“, ცეკვავდა ბათუმის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმში“, ანსამბლ „ერისიონში,“ ბათუმის მერიის ანსამბლში, თურქეთის შოუში... მას შემდეგ კი ძალიან ბევრს მიაღწია... წელიწადნახევარია კიევში გადავიდა და Fairytale show, პარალელურად კი ballet vatasho da ballet georgia–შია. ქართულის გარდა ამერიკულ Sving და ბრაზილიურ Karueros ცეკვავს.*



*...ჩვენი მიზანია, წარმატებული ხობელები, რომლებიც მიმოფანტულნი არიან საქართველოს საზღვრებს გარეთ, წარმოვაჩინოთ და გავაცნოთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველებს...*

# „ცეკვა ჩემი ცხოვრების ნაწილია“

***ირაკლი, მოდით თავიდან დავიწყოთ, წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი.***

– დავიბადე ქ. ხობში.ვარ 19 წლის. ჩემი მშობლებია მარინა კორტავა და ვახტანგ ქაჯაია. მყავს სამი და. თეა და თამუნა სტომატოლოგები არიან, თეონაც სამედიცინოზე სწავლობს. მე ვემსახურები ქართულ ხელოვნებას–ქართულ ნაციონალურ ცეკვას. დამთავრებული მაქვს ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან არსებული კოლეჯი სტომატოლოგი–ორთოპედის სპეციალობით.

***როგორი იყო თქვენი ბავშვობა, როდის დაიწყეთ ცეკვა, რა ასაკში აღმოჩნდით ამ სამყაროში? ალბათ ძალიან ბევრი შრომა გიწევდათ, რათა თქვენი ადგილი დაგემკვიდრებინათ ქორეოგრაფიაში, გვიამბეთ თქვენს მიღწევებზე, რა გზა განვლეთ, სანამ Fairytale show -ში აღმოჩნდებოდით?***

–ბავშვობა ძალიან მხიარული და ბედნიერი მქონდა. რაც შეეხება ცეკვას, 9 წლის ასაკში, დედაჩემის რჩევით დავიწყე. რატომღაც სურდა, რომ მოცეკვავე გამოვსულიყავი, ის უფრო იყო მონდომებული, ვიდრე მე. მიზნის მისაღწევად ძალიან ბევრს ვშრომობდი, ვვარჯიშობდი, დღე და ღამეს ვასწორებდი. მძიმე და დამქანცველი იყო მუშაობა. ჩემს თავს მოდუნების საშუალებას არ ვაძლევდი. ბევრი მეუბნებოდა კიდეც, რომ აზრი არ ჰქონდა ჩემს ამდენ შრომას, გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ ცეკვას დიდი პერსპექტივა არა აქვს... მე მაინც ჩემსას ვაგრძელებდი... როცა უკრაინაში ჩამოვედი, ძალიან გამიჭირდა, თავი რომ მერჩინა რესტორანში ვცეკვავდი, სადაც კარგად მიხდიდნენ, ეს სამსახური ძალიან დამეხმარა, რომ ხალხი და ქალაქი კარგად გამეცნო. ამასობაში ქართველი მოცეკვავე მალხაზ ელიავა გავიცანი, რომელიც თენგიზ სუხიშვილის დროს ანსამბლის სოლისტი იყო. მას უკრაინაში ქართული ცეკვის მხრივ უკვე დამკვიდრებული ჰქონდა თავისი ადგილი და მისი წყალობით მოვხვდი Fairytale show –ში.

***გასტროლებზე ხშირად გიწევთ გასვლა? ქართველებს თუ შეხვედრიხართ?***

–დიახ, გასტროლებზე ხშირად დავდივართ. ძალიან ბევრ ქართველს ვხვდებით საზღვარგარეთ, რაც დიდი სიხარულია და საოცარ, წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს ჩემში, ასევე საშუალება მაქვს, ახლოს გავიცნო სხვადასხვა ქვეყნის ხალხის ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, აბა, ბუნების სილამაზით ქართველ კაცს როგორ გააკვირვებ... ყველას მაინც ჩემი ქვეყანა, საქართველო მირჩევნია.

***ხალხური ცეკვების გათანამედროვეობაზე თქვენი შეხედულება როგორია?***

–მიმაჩნია, რომ ქართულს, რაც ძველებიდან შემოგვრჩა, ის უხდება. ამით ვაცნობთ მსოფლიოს ჩვენს კულტურას, მაგრამ ბევრი მას მაინც ათანამედროვებს. მაგალითად შოუში, სადაც მე ვცეკვავ, ქართულთან შეხება არ აქვს, უბრალოდ ქართული ელემენტებია გამოყენებული შოუს კოსტუმებით, მოკლედ ჩვენ, როგორც ქართველი აკრობატები ისე ვართ.



***რა არის თქვენთვის ცეკვა, თქვენი არჩევანით კმაყოფილი ხართ?***

–ცეკვა ჩემთვის ყველაფერია, სიტყვებით ამის გადმოცემა ძნელია. ცეკვის დროს მთელ სიყვარულს შიგ ვაქსოვ. ცეკვა ჩემი ცხოვრების ნაწილია და ვერ წარმომიდგენია მას თუ ოდესმე თავს დავანებებ.

***ძირითადად როგორ მუსიკას უსმენთ?***

–ყველა ხელოვანს, ძირითადად, ხალხური სიმღერები მოსწონს, მაგრამ გამორჩეულად რომელიმე ჟანრს ვუსმენ მეთქი ასე არ არის, ვუსმენ იმას, რაც გემოვნებიანია, რაც მომეწონება და მესიამოვნება.

***ბავშვობისდროინდელი ოცნება ხომ არ გაქვთ?***

–ბავშვობისდროინდელი ოცნება იყო სუხიშვილებში მეცეკვა, მაგრამ... მე კი მხოლოდ პრესტიჟულ ანსამბლში ცეკვით კი არ მინდა წარმატებული გავხდე, არამედ ჩემი შრომით და ჩემი ნიჭით.

***როცა მძიმე წუთები გიდგათ, იოლად ჩაიქნევთ ხელს თუ იბრძვით იმისთვის, რომ მდგომარეობა გამოსწორდეს?***

–იოლად რომ არ ვნებდები, ამაში ჩემი მშობლებიც დავარწმუნე. თვითდაჯერებული ვარ და თუ რამე მიზნად დავისახე, მანამ არ მოვეშვები, სანამ არ მივაღწევ...

***რას ნიშნავს თქვენთვის ხობელობა?***

–მეამაყება, რომ ხობელი ვარ. ჩემი ხობი სამეგრელოში ყველაზე ლამაზ ქალაქად მიმაჩნია, აქ ყველაზე თბილი და კეთილი ადამიანები ცხოვრობენ, მიყვარს ხობი და თითოეული ხობელი!

***გაგვაცანით თქვენი უახლესი გეგმები, როგორ გესახებათ მომავალი, რისი მიღწევა გსურთ?***

–სერიოზული გეგმები მაქვს, ძალიან მინდა საკუთარი შოუ შევქმნა და ვნახოთ რა გამომივა.

***წარმატებებს გისურვებთ ირაკლი, სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი.***

–დიდი მადლობა. მეც ნასიამოვნები ვარ თქვენთან საუბრით. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ყველა ხობელ მოცეკვავეს წარმატება ვუსურვო. ასევე გულითადი მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს პირველ ქორეოგრაფებს მამუკა გვასალიასა და პაატა ჭითაშვილს. მე მათ ხელში გავიზარდე და ქორეოგრაფიაში ჩემი მიღწევები მათი დამსახურებაა. დარწმუნებული ვარ, მათ ხელში ძალიან ბევრი დიდი, ცნობილი მოცეკვავე გაიზრდება, რომლებიც ხობს და საქართველოს ასახელებენ.

**ესაუბრა ნანა კემულარია.**

# მრთად შევაჩეროთ წითელა...

წელს გაზაფხულზე, მარტის თვიდან, წითელათი ადამიანთა დაავადების შემთხვევები დაფიქსირდა ქ. თბილისში, შემდგომ თითქმის მთელ საქართველოში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც გავრცელდა.

აპრილის თვიდან დღემდე, ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია წითელათი ადამიანთა დაავადების 14 შემთხვევა. შეტყობინებების მიღებისთანავე ჯანდაცვის ცენტრის მიერ თითოეულ კერაში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევებით დადგენილი იყო კონტაქტირებული პირების რაოდენობა. ჯანდაცვის პირველადი რგოლების მიერ ცხელებითა და მაკულო-პაპულოზური გამონაყარით მიმდინარე შემთხვევებზე ზედამხედველობა გაძლიერდა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანების შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით 7 წლამდე ასაკის არასრულად იმუნიზირებულ ბავშვთა ვაქცინაცია ჩატარდა.

არასრულად იმუნიზირებულად ითვლება 1-დან 5 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირი, რომელსაც არა აქვს მიღებული წწყ. ვაქცინის 1 დოზა, ასევე 5-დან 7 წლამდე ასაკის პირი, რომელსაც არა აქვს მიღებული წ.წ.ყ. ვაქცინის 2 დოზა.

მუნიციპალიტეტის საექიმო ამბულატორიების მიერ დადგინდა 1-დან 7 წლამდე ასაცრელი კონტიგენტი, რომელმაც შეადგინა 73, მათ შორის აიცრა 73, მედპერსონალიდან აიცრა 51, წითელათი დაავადებულებთან კონტაქტში მყოფებიდან აიცრა 40 წლამდე ასაკის 38 ადამიანი.

ჯანდაცვის ცენტრის მიერ დროულად იყო შემოტანილი წითელა-ყბა-ყურას ვაქცინის საჭირო მარაგი, რომელიც ამჟამადაც გაგვაჩნია.

წითელა ჰაერით გადამდები ვირუსული დაავადებაა, ამიტომ დაინფიცირების რისკი განსაკუთრებით მაღალია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში: საბავშვო ბაღებში, სკოლებში, ორგანიზაციებსა და სხვა.

წითელას ვირუსი იწვევს ცხელებას, კანისა და ლოყის ლორწოვანაზე დამახასიათებელ გამონაყარს. იგი ხშირად რთულდება ყურის, ფილტვების და თავის ტვინის ანთებით. მძიმე გართულების მქონე ყოველი მე-4-5 შემთხვევა სიკვდილით მთავრდება.

წითელათი ავადობის გავრცელებას ახასიათებს დაავადებულთა რაოდენობის მატება გარკვეული პერიოდულობით, რომლის განმავლობაში საზოგადოებაში დაგროვილი არაიმუნური პირები დაავადების გავრცელების ეფექტურ საყრდენს წარმოადგენენ, ვინაიდან წითელას გადამდებლობა მაქსიმალურია, ყველა არაიმუნური ადამიანი დაავადების 100 პროცენტიანი რისკის ქვეშაა.

2013 წელს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე წითელას შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება შეინიშნება, რაც სერიოზულ რისკს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას.

წითელათი დაავადებისაგან დაცვის ერთადერთი და უნივერსალური საშუალება ვაქცინაციაა, რომელიც პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად ტარდება 1-დან 5 წლის ასაკში.

ამჟამად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციით, ჩატარდა 7 წლამდე ასაკის არასრულად ასაცრელი და აუცრელ ბავშვთა უფასო ვაქცინაცია. მივცეთ ჩვენს შვილებს შანსი, რომ ისინი წითელათი დაავადებისაგან დაცულები იქნან.

**ჯუმბერ ტურავა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე–ექიმი-პროფილაქტიკოსი.**

სულთათანა

## იზო თათარიშვილი-ხუნჯუა



შენი გარდაცვალებიდან ტკივილითა და დარდით სავსე ორმოცი დღე გავიდა ჩემო სანატრელო შვილო.

შვილო, შენ ის ტკივილი ხარ, დროსთან ერთად რომ იზრდება, შენი არყოფნით თითქოს დრო გაჩერდა! უშენობის ტკივილი უსაშველოა და დაუძლეველი. ცრემლგამშრალ დედას ძალიან მენატრები, არ არსებობს უფრო საშინელი მონატრება, დედას გარდაცვლილი შვილი რომ ენატრება, ყველგან გეძებ, ყოველი მხრიდან გელოდები, მაგრამ ამაოდ.

ჩემო საყვარელო შვილო, იზო, ნათქვამია დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ყველაფერი ტყუილია, რაც დრო გადის უფრო და უფრო მენატრები, ყოველი დღე თენდება შენი მონატრებით და იმ უბედური დღეების გახსენებით, რაც გადაგხდა თავს 7 მაისიდან 1 ივნისამდე. სოცოცხლე გწყუროდა, ჩვენ, შენს შვილებს, მეუღლეს, მთელ სანათესაოს იმედი გვქონდა, რწმენით ვიყავით, რომ გადაგვირჩებოდი, მაგრამ შენი გულისცემა 23–ე დღეს გაჩერდა. ასე ინება უფალმა და მხოლოდ 53 წელი გაიმეტა შენთვის, ბედისწერას და უფალს ვერ აღუდგები წინ, თურმე რა დაუნდობელი ყოფილა წუთისოფელი...

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მამაშენთან ერთად შენი ლამაზი, უკვდავი სული. იმის იმედით ვარსებობ, რომ ის გაგიფრთხილდება და დაგიცავს შვილო.

**ზაირა თათარიშვილი**

## მათე თირქია



...შენ ჩვენი იმედი იყავი. არასოდეს მოგვიშუშდება ტკივილი, რომელსაც უშენობა ჰქვია. გიყვარდა ყველა, გასცემდი უსაზღვრო სითბოს, ამიტომაც ყველას ძალიან უყვარდი. გაუსაძლისია უშენობა, ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს, ყველას, ვინც გიცნობდა, ძალიან ენანება შენი უეცრად შეწყვეტილი ნორჩი სიცოცხლე, შენ ხომ ჯერ მხოლოდ 11 წლის იყავი, სიცოცხლე, რომელიც სავსე იყო ულამაზესი ფერებით, ხალისითა და ცელქობით. წუთიერად არ შეგეძლო მოდუნება, მუდამ სადღაც მიიჩქაროდი, თითქოს ადგილსაც ვერ პოულობდი ამ უსასრულოდ დიდ სამყაროში...

რამდენი რამ დაგრჩა უთქმელი, რამდენი ოცნება აუხდენელი.

შენგან უსაზღვრო სითბოს, სიყვარულსა და ყურადღებას მიჩვეულებს, სიცოცხლის ბოლომდე არ გაგვინელდება შენი სიყვარული და შენზე ნათელი მოგონებებით გავა ჩვენი ცხოვრების დარჩენილი წლები.

იქნება მზე, სითბო და უდიდესი მონატრება შენი... უზომოდ მოსიყვარულე, ხალისიანი, ღიმილიანი და ონავარი ბიჭის...

ნათელში იყავ სამარადისოდ... დედის ლოცვა-ვედრება გინათებდეს გზას ცათა სასუფეველში. გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები ყველას!..

**ოჯახი.**

## გელა ლომაია



ალბათ, ბევრი დამეთანხმება, არსებობს მწუხარება, სულიერი ტკივილი, რომელიც დროს ვერ მიაქვს და ეს არის ერთადერთი–შვილმკვდარი დედის ტკივილი... (ღმერთმა ყველა დაიფაროს ამ უბედურებისაგან).

17 წლის წინათ, 30 ივლისის საღამოს, ხობი შეძრა იმ უბედურმა შემთხვევამ, რომელმაც შენი სიცოცხლე შეიწირა გელა, შენ დედისერთა, სიცოცხლით და სიყვარულით სავსე, სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე „პატარა ბიჭი" 26 წლის სტუდენტი შეეწირე სხვის დაუდევრობას.

შემთხვევა თავისთავად დიდი უბედურება და სულის შემძვრელი იყო, მაგრამ გამორჩეული ადამიანების, შენი მშობლების გვერდით დადგა მთელი რაიონი. მამა–ნაპო ლომაიამ თითქოს თავი დაკარგაო, ვერანაირად ვერ შეეგუა ამ უბედურებას, რამდენჯერ სცადა შენთან ფიზიკური მიახლოება, მაგრამ ვერ მოახერხა, თანადგომამ და ლოცვამ 10 წელიწადი გაუხანგრძლივა ამქვეყნიური სიცოცხლე და მიწიერი სატანჯველიდან დაისვენა.

დედა–ნათელა ალანია ყველაფერს ეცადა შენი სახელის უკვდავსაყოფად. დამსახურებულ ფინანსისტს თანამშრომლებმა, მეგობრებმა და საზოგადოებამ ჩამუხვლის საშუალება არ მისცეს... შენდა სასახელოდ ამაყად შეინახა და მოესათუთა დღემდე გაუსაძლის ტკივილსა და სევდას, ეგაა ცრემლები ვერ დაიმორჩილა...

ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ძლიერი ქალი, ძლიერი დედაა. 17 წელიწადია შენი სახელის სადიდებლად, წარმოსაჩენად და ხსოვნად არსებობს, მაგალითად იმისა, რომ გამორჩეულმა ადამიანებმა გლოვაც გამორჩეული იციან.

შენ, უკვე დავაჟკაცებულო გელა, დღემდე თითოეული ჩვენთაგანის ტკივილი და სევდა გქვია. მონატრება არ განელებულა. 30 ივლისს საფლავზე სანთლებს დაგინთებთ, უფალს კიდევ ერთხელ ვთხოვთ, ნათელში გამყოფოს. დედაშენს კი სულის ძლიერებას ვუსურვებთ, კვლავ შენი სულის საოხად და გასაძლიერებლად.

***დედაშენის მეგობრები.***

## ღმერთს ვთხოვ, არ მიგატოვონ!

არის წუთები, როცა წარსულზე ნოსტალგია გაწუხებს. იგონებ შენს უახლოეს ადამიანებს–მშობლებს, დებს, ძმებს... ეს მოგონებები შემდგომ ტკივილად გექცევა. გენატრებიან, ნატვრა წუხილად გექცევა და... რას იზამ, ასეა წუთისოფელი...

მამაჩემი ვარლამ რუსია მართლაც კარგი კაცი იყო, პატიოსანი, ხობში დაფასებული. მას ბევრი საპასუხისმგებლო სამსახური ჰქონია და ყველგან სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა, რაც ყველაზე მთავარია, დედასა და მამას თბილი და მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდათ. დედა თბილი, მოსიყვარულე და დიასახლისობაში ცნობილი ქალი იყო. ცდილობდა შვილებისთვის სწავლა-განათლება მიეცა და პატიოსნად აღეზარდა. გაუმართლა. შემდგომი თაობებიც კარგები და განათლებულები არიან. ჩემი უფროსი ძმა გივი კარგი ფილოლოგი იყო. უზომოდ მიყვარდა თავისი დადებითი თუ უარყოფითი თვისებებით, რძალი ნათელა, პედაგოგი იყო, ჩემს დას თინას დიდი ღვაწლი მიუძღვის თანასოფლელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ის სპეციალობით ექთანი გახლდათ. გურამი, ჩემი უმცროსი ძმა, საფიცარი იყო ჩემთვის, მაგრამ ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან. ძალზე ტკივილიანი წლები გამოვიარეთ, გაუსაძლისი, შვილიშვილის პატარა ბაქარის გამო. დღეს ის 19 წლის ვაჟკაცი იქნებოდა... არც ისე დიდი ხანია რძალი–გურამის მეუღლე ნელი შეუერთდა მარადისობას. თითოეული ესენი ჩემი ფიქრი და დარდია, მით უფრო ახლა, მეც ხომ წლებმა დამიმძიმა მხრები, საკუთარი ოჯახიც არ მაქვს და ძმისშვილებთან ვცხოვრობ.

მომენატრეთ ჩემთვის უსაყვარლესო ადამიანებო, მომინდა თქვენთან საუბარი და მოგონებების ქაღალდზე მწირად გადმოტანა.

მე თქვენს ხსოვნას ვეთაყვანები, გიგონებთ და მჯერა, უკვე შეეგუეთ მარადისობას.

ღმერთს ვთხოვ, არ მიგატოვოთ.

**ნათელა რუსია**

# რა იწვევს ხასიათის დისჰარმონიას, რითი შეიძლება სულიერი გადარჩენა?

თანამედროვე ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ თუ ნორმალური ადამიანი ხანგრძლივად იქნება მძიმე სოციალურ პირობებში, მისი ხასიათი შეიძლება იმდენად შეიცვალოს, რომ არსებითად ფსიქოპატურად გარდაიქმნას. ე.ი. არახელსაყრელი სოციალური პირობების შედეგად ადამიანი შეიძლება ფსიქოპატი გახდეს. თუ ფსიქოპატია წარმოიქმნება, იგი შთამომავლობას გადაეცემა და ასე წარმოიქმნება კიდევ ერთი პათოლოგიური გვარეულობა. მაშასადამე, ამ ჰიპოთეზის მომხრეების თვალსაზრისით, ფსიქოპატია წარმოიშობა არა მარტო ბიოლოგიური გზით, არამედ სოციალურითაც.

ძალიან დიდ სიდუხჭირეს განიცდის მოსახლეობის უმრავლესობა. ჩვენს თვალწინ იღუპებიან ახალგაზრდები, გონიერი ადამიანები, რომლებსაც ბევრი სასიკეთო ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ, მაგრამ საკუთარი თავის რეალიზაციას ვერ ახდენენ. ადამიანებმა პური რომ შეიძინონ, იმის საშუალებას არ აძლევენ. რა ქნან ასეთებმა, რა გააკეთონ? ამაზრზენია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ასეთი ყოფა უნარშეზღუდულობისა და გონებრივ გამოფიტვას უწყობს ხელს, ხშრად ის დეპრესიის მიზეზიც ხდება. დუნედ მიიზლაზნება დრო სოციალური მდგომარეობის გამოსწორებაში და სიმართლის ძიებაში. ეს მეტად შემზარავია. ადამიანური ყოფა სიღრმისეულ საფუძველს მოკლებულია. ამას უმეცრებისკენ მიჰყავს ახალგაზრდობა, საშინლად უწიგნურია საზოგადოება, რაც თავის ქადაგებებში აღნიშნა უწმინდესმა ილია-II. მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტი თანხა განათლებაში უნდა ჩაიდოს. ადამიანები უნდა დასაქმდნენ, შექმნან დოვლათი, რაც ფეხზე წამოაყენებს საქართველოს ეკონომიკას. როდესაც იაპონიას ეკონომიურად უჭირდა, მთელი თანხები მომავალი თაობის განათლებაში ჩადო. განათლებულმა ახალგაზრდობამ იაპონიის ეკონომიკა მსოფლიოში საუკეთესო გახადა თავისი მეცნიერული და ტექნიკური მიღწევებით.

ჩვენ პატარა ერი ვართ, საკმაოდ ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი, დიდი ტრადიციისა და კულტურის მქონე, რომელიც ბევრ სხვა დიდ ერებსაც შეშურდებოდა. კრიზისიდან გამოსასვლელად ძალიან დიდი ძალისხმევა გვჭირდება. უფლის მადლით, ერთმანეთის ტკივილი უნდა ვიტვირთოთ, ნუ გავხდით ჭკვიან და ნიჭიერ ადამიანებს სულიერ ავადმყოფებად, ვიზრუნოთ ერთმანეთზე, ჭეშმარიტად ვიყოთ ქრისტეს მიმდევრები სულითა და გულით და არა ლიტონი სიტყვებით. გადავარჩინოთ ახალი თაობები, რომლებიც მრავალი უმსგავსო ცდუნებისა და გამოწვევის წინაშე დგანან. დღეს უკვე ყოველგვარი ნიშანია ქრისტეს მეორედ მოსვლისა დიდებით „ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. მოლოდინი სულიწმინდის ახალი ეპოქის შესაძლებელი დადგომისა. ამიტომ მთელი ყურადღება მივაპყროთ ერის გაჯანსაღებას. კინკლაობის და ურთიერთგაყიდვის დრო არ არის, ვიფიქროთ სულიერ გადარჩენაზე, ერთმანეთის გატანაზე, ჭეშმარიტ რწმენაზე, სიყვარულზე, მოვინანიოთ ჩვენი ცოდვები, ეს თუ დროულად არ შეისმინა თითოეულმა ჩვენთაგანმა, ჩვენმა მთავრობამ, მაშინ ყველაფერი დაირღვევა, აეშვებიან ეშმაკები და ავისულები, პირს დააბჩენს ქაოსი. პირდაბჩენილი ქაოსი არა თავისუფლებისაკენ, არამედ ტირანიისაკენ წაგვიყვანს. ეს კარგად იცის ჩვენმა პატრიარქმა. დღეს, როგორც არასდროს, ხდება სულიერი და სოციალური გარდაქმნა. თუმცა მხოლოდ პოლიტიკური და სოციალური ღონისძიებანი უძლურია. „სულიერი რევოლუცია, რომელიც ხდება აქ, წუთისოფელში, უფრო ღრმაა და უფრო შორს მიდის ჩვენს გადასარჩენად, „ვიდრე რევოლუციები“.–წერდა დიდი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდაევი.

ხსნის გზა ერთია, მშობლიური მიწის სიყვარული, ტყუილად არა ვართ გიორგის ანუ მიწის მიმდევრები, რომელსაც ასე დავშორდით.

ამას წინათ ჩვენი მონასტრის მონაზონი დედა ეკატერინე მესაუბრა. „ხალხმა დატოვა სოფლები, ნასახლარებად აქციეს ოჯახები, დაივიწყეს მიწასთან მუშაობა, ყველა ქალაქში გაიკრიფა ან უცხოეთში, მერედა რას აკეთებენ იქ ამდენს, რასაც აქ კარგავენ, რას ჰყიდიან, დრო უქმად, უსაქმურობით გაჰყავთ, შვილები იზრდებიან უდედოდ, მათ აღსაზრდელად არ სცალიათ. ამასობაში ბავშვები იღუპებიან, ძალიან ცივი თაობები მოდის, მათ არ იციან მშობლიური სითბო და სიყვარული“. რა ახსნა მოეძებნება ამ სიტყვებს, ყველამ ჩვენს გულში ჩავიხედოთ, მეტი გულისხმიერება გამოვიჩინოთ, ერთობით მომავალ თაობებზე ზრუნვით, ჭერშმარიტი რწმენითა და შრომით შეიქმნება ძლიერი ეკონომიკა. რაც შექმნის ჰარმონიას, მიწის მიზიდულობა ხსნის დეპრესიას, წიგნიერება დააბრძენებს საზოგადოებას, რაც გააძლიერებს და გაანათლებს ერს. ეს ხელს შეუწყობს ხვალინდელი დღის საქართველოს გასხივოსნებას და ბოლოს სასურველია თუ ამის შესაძლებლობა იქნება. ლევან ვასაძის მიერ დაარსებული საეროსასულიერო სკოლები გაიხსნას საქართველოს ყველა კუთხეში, ყველა ქალაქში თუ მუნიციპალიტეტში, რათა მეტი გასაქანი მიეცეს ახალგაზრდა თაობების აღზრდას ეროვნული ღირებულებების შეცნობით, რაც გააძლიერებს ეროვნულ წიაღს, რის შედეგადაც მოხდება სულიერი გადარჩენა. ამას კი მოჰყვება უფლის ჭეშმარიტი აღდგომა...

ამინ!

*ლალი ჭედია.*

# კვირიკობა გვიახლოვდება...



დიდი პასუხისმგებლობაა შეეჭიდო დიდ საქმეს და აკეთო ის მოთმინებით, ყოველგვარი ამბიციების გარეშე...

გურიფული თავისი უძველესი და ტრადიციული ისტორიით გამორჩეული სოფელია. აქ გამორჩეული ადამიანები ცხოვრობდნენ და ტრადიცია არც მერე დარღვეულა... სოფელი ლამაზი და ისტორიულია. ადრე აქ, თურმე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები იმართებოდა. მარულა, ისინდი თუ სხვა. ტარდებოდა ლიტერატურული საღამოები, სოფელს თავისი კლუბი და თავშეყრის ადგილი გააჩნდა, ფუნქციონირებდა ხალხური ანსამბლი და რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, სოფელში ყოფილა „წმინდა კვირიკესა და ივლიტას“ სახელობის ეკლესია და მასთან არსებული სასულიერო სკოლა... ყოფილან მგალობლები...

დროის გაუკუღმართების შედეგად, საუბედუროდ, ეს ეკლესია დანგრეულიქნა, მაგრამ ღვთისმიერ არ იქნა სოფელი დავიწყებული... აქ მცხოვრები ადამიანები დიდი რწმენით შეუდგნენ ეკლესიის ხელახალ აშენებას... ღვთის მადლითა და წყალობით, კეთილი ადამიანების შეწევნით ეკლესია შენდება, რომელსაც ჰყავს წინამძღვარი მამა კირიონ დარასელია, რომელიც ეკლესიის აღმშენებლობისთვის ძალისხმევას არ იშურებს... ალბათ, მალე ერთი წელი შესრულდება, რაც მამა კირიონი აქ, მშენებარე ეკლესიაში ყოველ შაბათს პარაკლისს აღავლენს... წვიმაში თუ ქარში იგი ყოველ შაბათს მოდის და რწმენას გვმატებს...

სულ სხვაა ტაძართან დგომა, სულ სხვაა წინაპართა საძვალესთან სიახლოვე და ლოცვა უფლის სადიდებლად... ვგეგმავთ მამა კირიონთან ერთად მოვილოცოთ სოფლის ქუჩები, მერე კი ერთი ლამაზი საღამო მივუძღვნათ ამ დღესასწაულს.

კვირიკობა ახლოვდება, ეს მთელი სოფლის დღესასწაულია, ყველა გურიფულელს ვულოცავ კვირიკობის დღესასწაულს, ვულოცავ ხელახლა სოფლის დაბადებას, ვინაიდან ეკლესიის მშენებლობა ნიშნავს სოფლის აღმშენებლობას... ყველას ვუსურვებ რწმენასა და ლოცვაში გაძლიერებას, ღმერთმა დაიფაროს და გააძლიეროს ჩვენი სოფელი მოძღვართან ერთად, ამინ!

***სოფიკო ჭითანავა,***
***გურიფულის საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტი.***

## მილოცვები



### ცაცა–ანასტასია მუკიას!

გილოცავთ დაბადების დღეს. ულევ სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერ დღეთა და წელთა სიმრავლეს გისურვებთ ჩვენო პატარავ, ჩვენო პირველო სიხარულო.

შენ უკვე სკოლაში მიდიხარ. თავი გესახელებინოს ჩვენო ტატუკავ!

გკოცნით და გეფერებით

შენი ოჯახი.

### დიმა ალანიას!



დიმა, ჩვენო სიხარულო, შორენა და დათო ალანიების ერთადერთო და საფიცარო შვილო, გილოცავთ დაბადების დღეს, გკოცნით საუკეთესო სურვილებით, უკვე „დიდი“ ბიჭი ხარ, სამი წლის გახდი. უფალს ვთხოვთ, წელთა სიმრავლე, ულევი სიხარული, ჯანის სიმრთელე, და–ძმათა სიმრავლე დაგანათლოს.

ახლობლები.

*დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*
*გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“*

*სარედაქციო კოლეგია:*
*თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,*
*თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.*
*რედაქტორი–მანანა შულაია.*
*ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.*
*კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.*

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.